მიზნის მიღწევა, გარკვეული საწარმოო ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება ხრულიად განსხვავებული გზებით, განსხვავებული რაოდენობის მატერიალური და მრომითი რესურსებისა და ტექნიკური სამუშავებების გამოყენებით, წარმოებისა და მრომის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმების დაწერებით და ა.შ. მაგალითად, პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა ანდა ხრულიად ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების ათვისება შეიძლება მოქმედი საწარმოო სიმძლავრეების უკეთ გამოყენებით, წარმოების მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გაზრდით, მომიჯნავე საწარმოებში პროდუქციის დასამზადებლად საჭირო დეტალების და კვანძების წარმოების განთავსებით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დაწერებით, მოქმედ საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის განხორციელებით, ან ახალი საწარმოების აგებით. პროდუქციის დასამზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნება შემცველებელი არხე-

ბული მატერიალური რესურსები ანდა სრულიად ახალი სისტემის ნედლეული, მასალები, ენერგია და სხვ. ამ შემთხვევაში ჩატარო იქნება შესაბამისი საწარმოების აგება ანდა მათგან შექმნა, მათ შორის უცხოეთშიც კი. ამრიგად, საჭირო გახდების მუშაობის შემთხვევად მრავალი გარიანტის დამუშავება და პრეტამზე მეტყველებული წარმოებების მიღება მრეწველობაში ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ბუნებრივია, ვარიანტების მიხედვით განსხვავებულია კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, მისი ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები, მიზნის მიღწევის მაორიენტირებელი აუცილებელი დრო და ა.შ.

კოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინება აუცილებელია მარკეტინგული პროცენტების შემცავებისა და დაგეგმვის დროს. ამიტომ საჭიროა ბაზრების შესწალის საფუძველზე იქ შეღწევის პერსპექტივის გათვალისწინებით კველი შესაძლო გარიანტის ხწორად გააზრება, შესაბამისი გათვალის ჩატარება, სტრატეგიულ ვარიანტთაგან ისეთის შერჩევა, რომელიც უკრთ უზრუნველყოფს დასახული მიზნის განხორციელებას ნაკლები დანახარჯებითა და ოპტიმალურად მისაღებ დროში ზღვრულ პროდუქციაზე გახვლას.

კონომიკური მოვლენებისა და პროცესების, წარმოებისა და საერთოდ ხანგრძლივი პერიოდისთვის კონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების ხწორად განსაზღვრისათვის აუცილებელია წარსულში ანალოგიური პროცესების განვითარების ღრმა ანალიზი, ამჟამად არსებულ საწრმოო-ტექნიკურ, კონომიკურ-ორგანიზაციულ შესაძლებლობათა და გარემოში მომხდარ ცელილებათა გაანალიზება, შეღებების განზოგადება და არსებული მდგრამარეობის ობიექტური შეფასება. ამრიგად, პროგნოზირება შეუძლებელია, თუ ერთმანეთთან არ იქნება დაკავშირებული არა მარტო წარსული, აწყვი (თანამედროვეობა) და მომავალი, არამედ, ახლად წარმოქნიანებული გადასალახავი ბარიერები და დამატებითი შესაძლებლობები. მხოლოდ წარსულისა და თანამედროვეობის ღრმა ანალიზის საფუძვლზე გაკეთებული დასკვნებისა და განვითარების მოსალოდნელ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება ხწორად დადგინდეს შემდგომი განვითარების ტენდენციები და შემუშავდეს მოქმედების პროგრამა.

იმის მიხედვით, თუ რამდენად ხწორაფად იქნება შესწავლილი და შეფასებული კველა ის პირობა და ფაქტორი, რომელთა

გავლენითაც ჩამოყალიბდა ეკონომიკური მოვლენებისა და პრეცენტების განვითარების უკმ გამოვლენილი კანონმდებლები, შეიძლება განიხილოთ მათი შემდგომი განვითარების შეხადით მიმართულებები და მოსალოდნელი შედეგები, შემთხვევაში შეფარისებული და აუცილებლობის შემთხვევაში ნორმატიული ზემოქმედების ღონისძიებები და მუშაობის პროგრამები, რათა მათი განვითარება წარიმართოს ხასურებით მიმართულებით.

პროგნოზირების მეცნიერებული დონე დიდად არის დამოკიდებული პროგნოზების მეცნიერებულად დახასუფალებული მეთოდების გამოყენებაზე. მეთოდების შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს საპროგნოზო ობიექტის ხასიათს, მის გარემონტიულ არეში მოხალოდნელი მარკეტინგული ცვლილებების გათვალისწინებით დახახული მიზნის თავისებურებას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობებს და ა.შ.

პროგნოზირების პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდებიდან მნიშვნელოვანია: ექსტრაპოლაციის, ხაბოლოდ მიზნის განსაზღვრის, ნორმატიული, მიზნობრივი და ობიექტების მიზედვით პროგნოზის განვარიშების მეთოდები.

ექსტრაპოლაციის მეთოდი გელისხმობს წარსულში კონომიკური მოვლენების განვითარების თავისებურებათა ხწორად შეფასებასა და თანამედროვე მდგრმარეობის დატაღური ანალიზის ხაუგველზე კონკრეტული ეკონომიკური პროცესის განვითარების კანონმდებლების განსაზღვრასა და მომავლისთვის გათვალისწინებას. ეს უნდა მოხდეს პერსპექტივაში ამ მოვლენასთან დაკავშირებულ პროცესებში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. მაგალითად, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების პროგნოზირებისათვის აუცილებელია მოთხოვნილების განსაზღვრა, რაც დამოკიდებულია მოსახლეობის დინამიკაზე, მის სტრუქტურულ ცვლილებაზე, ხოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიღწეულ ღონებზე, ფასების, ხელფასის და სხვა შემოსავლების ცვლილებებზე და ა.შ.

ხაბოლოდ მიზნის განსაზღვრის შემთხვევაში საქმე ეხება წარმოების განვითარების ცალკეული მხარისა და მიმართულების განვითარების პროგნოზირებას, როგორიცაა წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, ანდა მასთან დაკავშირებული

მაჩვენებლების (შრომის-, ელექტრო-, ენერგი-, ჰექსიფიცია და კაპიტალტერივილობა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია და ა.შ.) გაუმჯობესების პროგნოზირებას და ქართულური

პროგნოზირების ნორმატიული მეთოდი ხარჯულების მიზანი წინასწარ შემუშავებული ნორმატიული მასალების გამოყენებით მიეღიღოთ სწორი, ოპტიმალური საგეგმო და მმართველობითი გადაწყვეტილებები. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული ბაზის მცნიერებლი დონის ამაღლება.

პროგნოზირება ხდება ობიექტების მიხედვითაც, როგორიცაა დარგი, რეგიონი, საწარმო. ომის შემდგომ პერიოდში იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა ფოლადის წარმოების, შემდგომში ავტოინდუსტრიის, ელექტრონიკის, რობოტული ტექნიკის წარმოების განვითარების, წარმოების რობოტიზაციისა და კომპიუტერიზაციის, ხოლო ბოლო წლებში უახლესი ელექტრონულ-გამომტკლელი ტექნიკის წარმოების განვითარების პროგნოზები. ამ საფუძველზე განისაზღვრა შესაბამისი სამრეწველო დარგების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა და შემუშავდა მათი განვითარების პროგრამები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტორების მიხედვით გაანგარიშების, საექსპერტო შეფასებების, ფაქტორებს შორის ფუნქციონალური ან კორელაციური დამოკიდებულების განსაზღვრის მეთოდების გამოყენებას.

პროგნოზების დამუშავებასა და მათ საფუძველზე განვითარების გეგმების შედგნას მარკეტინგული საინფორმაციო ბაზა სჭირდება. ინფორმაცია უნდა იყოს შესადარი დროისა და საწარმოების მიხედვით. დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ინფორმაციის მოპოვებას სხვა საწარმოების, მათ შორის სხვა სახელმწიფოების ანალიზირი საწარმოების მუშაობის შესახებ. მხოლოდ საიმედო, ობიექტური ინფორმაციის გამოყენებით შეიძლება სწორად შეფასდეს რეალური მდგრადულობა, განისაზღვროს განვითარების პროგნოზები და შესაბამისი საგეგმო დავალებები.

პროგნოზირება გეგმიანი მუშაობის წინა ეტაპი და გეგმის შედგნის საფუძველია. პროგნოზი და პროგნოზირება განსხვავდება გეგმისა და დაგეგმვისაგან. პროგნოზი გარიანტული ხასიათისაა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დასაბუთებას არ საჭიროებს. პროგნოზის მხოლოდ ერთ-ერთი ფენაზე უკეთესი გარი-

ანტის საფუძველზე დგება გვმა, რომელშიც მოცემულია ქონ-
კრეტელი ამოცანა, განსაზღვრულია მისი გადაწყვეტის გრძელი
და საშუალებები. ჩველა მაჩვენებელი ზედმიწვენით ობიექტებიად
უნდა იყოს დასაბუთებული. მაგრა სამოქმედო პრინციპების მიხსმებ
გეგმით გათვალისწინებული რეკომენდაციების უქმედულების მატებულ
განაპირობებდეს სამრეწველო ფირმის საქმიანობის წარმატებებზე
ორიენტირებული ჟაგმის ქმედითობის დონის ამაღლებას. ეს გა-
მორიცხავს მის დირექტიულ ხასიათს საბჭოთა კონისტიკის
დროინდელი გაეგმით. საგეგმით ორიენტირებები შეიძლება დაზუხ-
ტლეს მათი შესრულებისა და რესურსების გამოყენების ანალიზის
შედეგად მიღებული დახეკნებისა და სიტუაციების ხასიათის,
მათ შორის, საბაზრო კონისტრუქტის ცვლილებების გათვალის-
წინებით. ასეთია დაგეგმვის ინდიკატორები მექანიზმის მანვერუ-
ლობა. პროგნოზს კი ამგვარ მოთხოვნებს ვერ წაუყვანებთ.

სამრეწველო წარმოების განვითარების გეგმის შინაარხი
და, ცხადია, საგეგმო მუშაობაც განსხვავებულია მართვის დონეთა
მიხედვით. სახელმწიფოს დონეზე კონისტიკის, მისი ძირითადი
დარგების, მათ შორის მრეწველობის, აგრეთვე მსხვილი ტერი-
ტორიული ერთეულების მიხედვით კონისტიკური განვითარების
გეგმა-პროგრამები დგება მრეწველობის ძირეულ რგოლებთან
(ფირმა, საწარმო და სხვ.) პარტნიორები გარიგების გზით
შეთანხმებულ მაჩვენებლთა მიხედვით. მასში აისახება განვი-
თარების ამოცანები და მათი განხორციელების მთავარი მიმარ-
თულებები ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (აშშ-ში -
შტატები, გრიმანიაში - უკადერალური მიწები, სხვაგან - პრეფე-
ქტურები, რესპუბლიკები და ა.შ.). ამგვარი დაგეგმვის დიდი
გამოცდილება აქვთ კონისტიკური განვითარებულ ქვეყნებს. იაპო-
ნიაში კონისტიკის განვითარების გეგმას სახელმწიფო გეგმაც
დაუწიეს და იგი 5 წელიწადს მოიცავს. მაგრამ ამგვარად და-
უწიეს მუშავებული სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლები შეზღუდულია,
მაშინ როდესაც მართვის ძირეული რგოლების მიხედვით შედ-
გებული გეგმები მოიცავს მაჩვენებლთა მთელ სისტემას, თუმცა
მათ შორის ლოგიკური კავშირია დაცელი.

ქვეყნის კონისტიკის, დარგებისა და რეგიონების, აგრეთვე
საწარმოებისა და ორგანიზაციების კონისტიკური და სოციალური
განვითარების დაგეგმვა ურთელესი და მეტად შრომატებადი

პრიცესია. მას საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი მეცნიერელი პრინციპები და მეთოდები.

დაგვგმვის პრინციპები უნდა შევსაბამებოდეს ჭვევნის ეკონომიკური საფუძვლის ხასიათს. ამის მიხედვით გამოყენებული გეგმვის შემდეგ პრინციპებს:

1. გეგმის რეალურობისა და მეცნიერელი დასახუთებულობის უზრუნველყოფა. გეგმის მეცნიერელი დასაბუთებულობა ორი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ: პირველი - აუცილებელია დაგვგმვის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას საფუძვლად დაედოს მეცნიერელი სიახლეები, რითაც მიღწეული იქნება ბაზრის კანონების მოქმედების პირობებში მრეწველობის შეწინახორციელებული განვითარება, ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების სრულყოფა. ეს თანაბრად ეხება პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრას, მისი გაანგარიშების მეთოდიკას, გეგმის განყოფილებებს შორის კავშირებს, წარმოებაში მეცნიერელ-ტექნიკური სიახლეების გამოყენებას და ა.შ. აღმოჩენები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რითაც ძალზე მდიდარია თანამედროვე ეპოქა, დიდ შესაძლებლობებს ქმნის საზოგადოების განვითარებისათვის, ეკონომიკური წინსვლის და ამ საფუძველზე მოთხოვნების შექმნა დაქმაყოფილებისათვის; მეორე, საგეგმო დაგალებები რეალური უნდა იყოს. ამიტომ გეგმის ჰელა მაჩვენებელი მარკეტინგული მართვის პოზიციებიდან კარგად უნდა იქნეს გააზრებული, დასაბუთებული, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული და შეწინახორციელებული, განმტკიცებული აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებებით;

2. საგეგმო დაგალებათა დამუშავების კომპლექსურობისა და სისტემურობის უზრუნველყოფა. გეგმის მაჩვენებლები უნდა შევსაბამებოდეს წარმოების მიზანს და უზრუნველყოფებს გათვალისწინებულ დროში მათ წარმატებით შესრულებას. წარმოების მიზანია შესაბამის პროდუქციასა და მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის დაქმაყოფილების საფუძველზე მოვების მიღება. მიზანი ხანგრძლივად მოქმედი კატეგორიაა. მოთხოვნების გაზრდისა და მრავალფეროვნების შესაბამისად, წარმოების მიზანიც იცვლება მასშტაბურად და შინაარსობრივად. ამიტომ წარმოებაც ეწყვეტად უნდა ფუნქციონირებდეს. საწარმოო-სამეცნიერო საქმიანობის წარმატებებზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ

ეკონომიკური განვითარების გეგმაში აისახება დასახული / შინის
მისაღწევად აუცილებელი შემდა პირობა და მოწვევებელი და.
უზრუნველყოფილი იქნება დავალებათა კომპლექსურობა. ეს გან-
პირობებულია იმით, რომ დასახული ამოცანული ასტრუმულით
გადაჭრა შეუძლებელია ერთი ან რამდენიმე ესტურიზმული
თუ ეკონომიკური ხასიათის საკითხის გადაწყვეტით. საჭიროა
კომპლექსურად გადაიჭრას წარმოების პროცესში ერთმანეთთან
მჰქიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული, ამავე
დროს მნიშვნელოვნად განსხვავებული ტექნიკურ-ტექნილოგიური,
ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის საკითხები. ამიტომ
დაგეგმვის კომპლექსურობის უზრუნველყოფა საჯემო მუშაობის
ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. არაერთხელ აღნიშნულა ისიც,
რომ წარმოების პროცესი აუცილებლად უწყვეტი ხასიათის უნდა
იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია თუ წარმოების განვითარების
დაგეგმვასაც ასევე უწყვეტი, სისტემური ხასიათი არ უქნება.
მაშასალამე, დაგეგმვის სისტემურობა საგეგმო საქმიანობის აუცი-
ლებელი პირობა, მისი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა;

3. საგეგმო გადაწყვეტილებებისა და დავალებების ოპტიმალუ-
რობის უზრუნველყოფა. საგეგმო გადაწყვეტილებები კონკრეტული
საბაზრო და სხვა გარემო პირობების გათვალისწინებით უნდა
იყოს ოპტიმალური ანუ ეკეთესი შემდა ძირითადი პარამეტრის
მიხედვით. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი საბაზრო
ერთიერთობების დროს ეკონომიკური განვითარების დაჩქარება,
წარმატებები საწარმოო-სამურნეო საქმიანობაში. ამიტომ საბოლოო
საგეგმო დავალებათა დადგნას წინ უნდა უსწრებდეს შესაძლე-
ალტერნატიული ვარიანტების დამუშავება ყველა ძირითადი მაჩვე-
ნებლის მიხედვით და მათგან იხეთი ვარიანტის შერჩევა, რომე-
ნებლის უზრუნველყოფს დახახული მიზნის მიღწევას საწარმოო რე-
სურსების მაღალებულებისანი გამოყენების შედეგად;

4. მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გამოვენების
აუცილებლობა. წარმოების მართვისა და დაგეგმვის სფეროში
მსოფლიოში მნიშვნელოვანი გამოცდილებაა დაგროვილი. განსაკ-
უთრებით აღხანიშნავა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების
მოწინავე საწარმოებისა და ორგანიზაციების მდიდარი გამოცდი-
ლება. ეს განსაკუთრებული სიმდიდრეა. მისი გამოვენება აუცი-
ლებელია, რაღაც იგი ეკონომიკური განვითარების დაჩქარების

დიდ პერსპექტივებს ქმნის. ნებისმიერ ქვეყანასა — თუ ჩანარმოს დიდ სიკეთეს მოუტანს ინდიკატორული დაგეგმვას დარღმა მოწინავე გამოცდილების მეცნიერული შესწავლა, ჩრმა ანალიზი, შედეგების განხოგადება და მისი გამოყენება ქვემოთ მოცემული პირობებისა და დასახული ამოცანების თავისებულების შესრულებულისტინებით. დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია აგრეთვე წინასაგვერდი პერიოდში მართვის შესაბამისი რგოლის მიერ დაგეგმვისა და გეგმის შესრულების პროცესში დაშვებული შეცდომების სწორად შეფასებას და სათანადო დასკვნების გათვალისწინებას შემდგომ საჯეგო შეშაობაში;

5. მართვის გველა რგოლში საწარმოო-ხამეურნეო ხაქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფა. საჯეგო შეშაობის ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დონის გარეჩრელი ამაღლება ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში. ამისათვის საჭიროა კონომიკური ეფექტიონის კველა მაჩვენებლის გეგმაზომიერი გაუმჯობესება. აუცილებელია შესაბამისი დონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელება ისე. რომ უზრუნველყოფილი იყოს ზღვრული პროდუქციის გამოშვება, ზღვრული მოგებისა და ზღვრული შემოსავლების მიღება შემცირებული საწარმოო დანახარჯებით. სხვაგვარად დაგეგმვა მნიშვნელობას დაკარგავდა.

დაგეგმვის ძირითადი პრინციპების მოთხოვნების შესრულების უმნიშვნელოვანების პირობაა დაგეგმვის მეთოდების მაღალი მეცნიერული დონე. ამიტომ აუცილებელია დაგეგმვის მეთოდების სწორად შერჩევა, მათი ინსტრუმენტარიუმის სისტემატიზაციის სრულყოფა, კონკრეტული პირობებისა და დასახული ამოცანების თავისებურებათა გათვალისწინებით ამა თუ იმ მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება, ახალი მეთოდების შემუშავება, დაგეგმვის ზოგიერთ მეთოდებზე უარის თქმა და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო გარემოში ჩართული სამრეწველო ფირმისა (ხაწარმოს) და მრეწველობის დარგისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რაციონალიზმის ანალიზურ-შემუშაბებული სისტემის გამოყენებას. იგი საშუალებას იძლევა განსაზღვრული გეგმის მარგანიზებელი როლის გაძლიერებით გაუმჯობესდეს დაგეგმვისა და გეგმის შესრულების ხარისხი, მათი

მეშვეობით სწრაფად შეტასდეს ფირმისა თუ დარგის განვითარების დონე. ამით გაძლიერდება სწრაფეა ირგანიზებულობის მოაღვი დონისადმი, რაც ცხადია, გაზრდის დაგეგმვის გუმშტაბია.^{*}

საწარმოო ერთეულის საგეგმო მუშაობაში მუშაობაში მუშაობაში მეთოდებიდან უმნიშვნელოვანებია:

1. დაგეგმვის ნორმატიული მეთოდი. ეს მეთოდი საყვარე გავრცელებულია. მისი მოთხოვნაა, საგეგმო დავალებათა გაანგარიშებას საფუძვლად დაედოს მეცნიერულად დასაბუთებული პროგრესული ინდიკატორული ნორმები და ნორმატივები. უმნიშვნელოვანები სახეობების განმსაზღვრელ ნორმებსა და ნორმატივებს აშენებენ სპეციალიზებული ინსტიტუტები და ლაბორატორიები, სამრეწველო ფირმების (საწარმოების) შესაბამისი სამსახურები. ყველა ფირმას (საწარმოს) უნდა ჰქონდეს საგეგმო მუშაობისათვის საჭირო მტკიცე ნორმატიული ბაზა. ასეთი ბაზის გარეშე შეუძლებელია წარმოების სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ირგანიზაციის ხრულყოფა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კვაპტანი გამოყენების უზრუნველყოფა.

საგეგმო მუშაობის ნორმატიული ბაზა მოიცავს ინდიკატორული ნორმებისა და ნორმატივების მთელ სისტემას შემდეგი მიზითადი ჯგუფების სახით:

ა). შრომის ნორმები: პროდუქციის შრომატევადობის (პროდუქციის ერთეულზე სამუშაო დროის დანახარჯების) ნორმა; მუშის სამუშაო დროის ბიუჯეტის ნორმა; მუშაობის რეენიმის ნორმა და სხვ. მათ საფუძვლებზე განისაზღვრება შრომის ნაყოფიერება, სამუშაო დროის გამოყენება, მუშების (მომუშავეთა) რიცხოვნობა და ა.შ.

ბ). შრომის იარაღების გამოყენების ნორმები: მანქანების, მოწყობილობების მუშაობის რეენიმის ნორმა; ამორტიზაციის ნორმა; მოწყობილობებზე მოთხოვნის ნორმა; (მოწყობილობათა ჯგუფების მიხედვით) და სხვ.;

გ). მატერიალური რესურსების გამოყენების ნორმები: ნედ-

* Папава Г.В. Методология экономического и маркетингового управления конечными результатами производства. Тб., 1992, стр. 236-286.

ნუსულის, მასალების, ნაყოდი ნაწევარფაბრიფარების ხარჯების ნორმა მათი გამოყენების სახეობების მიხედვით; საფორმისა და ენერგიის ხარჯების ნორმა; მატერიალური რესურსების შემდგრითი დანახარჯები (რესურსების სახეობათა მიხედვით); მარკეტის მასალატევადობის ნორმა; ნედლეულიდან პროდუქციის გამოსავარიანობის ნორმა და სხვ;

დ). წარმოების ორგანიზაციის ნორმები: წარმოების ციკლის ხანგრძლივობის, მატერიალური რესურსების მარაგების, გაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ნორმები და სხვ;

ე). ე.წ. კომპლექსური მაჩვენებლების ნორმები: ერთეული პროდუქციის კალკულაციის, ხამქრო, საერთო - საქართვის, წარმოების გარეშე ხარჯების, მოწყობილობათა შენახვასა და უსპლუატურასთან დაკავშირებული ნორმები; რემონტის სირთულის ერთეულის ღირებულების ნორმები; ხატრანსპორტი - დამამზადებელი ხარჯების ნორმატივი მასალების ზომის ერთეულზე და სხვ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატორული ნორმებისა და ნორმატივების დამუშავების ორგანიზაციისა და ნორმირების მეთოდების სრულყოფას, ნორმების პროგრესულობის დონის ამაღლებას, პროგრესული ტექნიკურ-გეონომიკური ნორმების ხვედრითი წონის გაზრდას, ნორმების დაცვაზე აღვიღობრივი კონტროლის ორგანიზაციისა და ანალიზის დონის ამაღლებას;

2. დაგეგმვის ფაქტორული გაანგარიშებების მეთოდი.

წარმოებაში ცვლილებები შეიძლება გამოიწიოს მრავალშა ფაქტორმა, მათგან მთავარი მხოლოდ რამდენიმეა. მაგალითად, წარმოების მოცულობის განმსაზღვრულია შრომის ნაფოირების გაზრდა, ახალი ხაწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება და გამოყენების გაუმჯობესება, ცვლილებები შემაობის რეჟიმში, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და სხვ. ახევე შეიძლება გამოიკვეთოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, პროდუქციის თვითდარებულებების შემცირებისა და მოვალეობის ზრდის განმსაზღვრული ძირითადი ფაქტორები. ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს კავშირი წარმოებაში ჩასართავ ფაქტორებს - შრომის, ნედლეულსა და ძირითად კაპიტალს, აგრეთვე შიდა-ხაწარმოო ცვლილებების მაღლმინირებელ მაჩვენებლებს და ამ გზით ფაქტორებსა და წარმოების შემაობის შედევობრივ მაჩვენებლებს შრომის.

ახეთი კავშირის დამფარუბა შეიძლება წარმოედნოს კვლეულიც-რი განვითარების ამსახველი მასალების გამოყენებით, რამელიც წარმოდგენას იძლევა წარმოების პროცესის ცვლილებების უარის-ზომიერებათა შესახებ. კიდრე გამოვლენილი ცალკეული შემთხვეული პერიოდზეც გავრცელდებოდეს, საჭიროა მოპოვებული მასალების დეტალური ანალიზი, რათა დადგინდეს ის პირობები, რამაც განსაზღვრა განვითარების შედეგები. მაგალითად, შრომის კაპიტალ-შეიარაღება შეიძლება გაიზარდოს ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებითაც და მათზე ფასების გაზრდითაც. ანდა, შრომის ელექტროშეიარაღების მაჩვენებლის გადამდება გამოიწვიოს როგორც ახალი ელექტრომოწყობილობების და ელექტროტექნიკური ტექნილოგიური პროცესების დანერგვამ, რაც ხელსაყრელია, ისე ელექტროენერგიის არარაციონალური გამოყენების შედეგად მიღებულმა გადახარჯვამაც. შეიძლება სხვა ანალოგიური მაგალითების მოტანაც. მთავარია გამოვლინდეს არასასურველი შედეგების გამომწვევი მიზეზები და მათგან გამოირიცხოს შემთხვევითი, არა-კანონზომიერი კეონომიკური სიტუაციებით გამოწვეული გადახრები.

აღხანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთმა ფაქტორმა შეცვლილი სიტუაციის გამო შეიძლება გამოიწვიოს წარმოების მუშაობის შედეგების გაუარესებაც. ამიტომ დაგვეგმის დროს ახეთი ხასიათის ფაქტორთა მოქმედებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა მათი უარყოფითი გაელენა ე.ო. "ეცემტის გაუონვა" შემცირდეს მაინც.

დიდი მნიშვნელობა აქვს კეონომიკურ მოვლენებსა და პროცესებში მოხალოდნელი ცლილებების დროულ განკურებას. ამის ხაფუძველზე შეიძლება წინასწარ შემუშავდეს და განხორციელდეს ორგანიზაციულ-ტექნიკური და კეონომიკური ხასიათის ღონისძიებები წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტერიცების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, საწარმოო-სამუშარენო ხაქმანობის შედეგობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

3. ანალიზურ-გაანგარიშებითი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების მიზანია საწარმოს (ორგანიზაციის) საგეგმოს წინა პერიოდის მუშაობის შედეგების ამსახველი მასალების დეტალური ანალიზის ხაფუძველზე განსაზღვროს დახავევმავი ობიექტის განვითარების საბაზო დონე. აღნიშნული მონაცემებისა და წარმოების

განვითარების განმხაზღვრელი ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით, თუ გამოკიცხავთ ხელისშემძლელი მიზეზების გავლენას, შეიძლება ხწორად განვხაზღვროთ წარმოების გადატვის მიზარდები და საერთოდ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შინაგანი მაჩვენებელების გაუმჯობესების შესაძლებლობები. ამის შემდეგ უნდა შემუშავდეს ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებები, რომელთა განხორციელებითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდედება წარმოების ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგიური პროცესები, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, უკეთ იქნება გამოყენებული მოწინავე გამოცდილება, შეიქმნება რეალური პირობები მიზნის მიხარულებად საჭირო გეგმის მაჩვენებელთა შესახულებლად;

4. დაგეგმვის პროგრამულ-მიზნობრივი შეთოდი. ამ შეთოდის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია განიხილვოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მიზანი და დამუშავდეს შესაბამისი პროგრამა, რომელშიც აისახება საჭირო რესურსები და პროგრამაში მონაწილე სტრუქტურული ერთეულები, შესაძლო კავშირები, პროგრამის რეალიზაციის გრაფიკი და ა.შ. მიზნობრივი პროგრამების ხანგრძლივობა შეიძლება აღმატებოდეს ხაგებით პრიორების ან მასზე ნაკლებიც იყოს. მაგრამ ახეთი პროგრამების დამუშავება და შესრულება აჩქარებს დასაგეგმავი იბიჯტის (საწარმო, ორგანიზაცია და ა.შ.) საბოლოო მიზნის მიღწევას;

5. საბალანსო შეთოდი. ყოფილ საბჭოთა კავშირში 30-იან წლებში გატარებული სამეურნეო რეფორმით დაიწყო კონიმიკის განვითარების ცენტრალიზებულ-დარექტიული მართვა. სამეურნეო რეფორმა მოიცავდა საბალანსო საქმიანობასაც. იმ დროიდან საბალანსო შეთოდი დაგეგმვის ძირითად შეთოდად აღიარეს. დაგეგმვის შედეგად სტადიაზე გამოიყენებოდა საკმარიდ გაშლილი, ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ბალანსების სისტემა. საბალანსო გაანგარიშებათა საფუძვლზე განიხაზღვრებოდა დამოკიდებულება "შეთხოვნასა და მიწოდებას", "წარმოებასა და რესურსებზე მოთხოვნას", "რესურსებსა და მათ განაწილებას" შერის და ა.შ. ადგენდნენ მატერიალურ და შრომით, ცოტა მოგვაინებით კი - ფინანსურ ბალანსებსაც. ამიტომ ბევრი მკვლევარი საბალანსო შეთოდს მიიჩნევდა ხოციალისტური დაგეგმვის შეთოდად. მეტიც, საბაზრო ურთიერთობის პირობებში ამ შეთოდის გამო-

ჯენების შესაძლებლობას ხათუოდ თველიდნენ.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ხაბალანსით გაანგარიშებს ინდიკატორულ დაგეგმვაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო რეგულირების სისტემაც საჭიროებს. ქანდაკი მართვები დაგეგმვის საბალანსით მეთოდი იძენს ხრულად გადამტკიციანების. იგი დად ეფექტს იძლევა ეკონომიკის მართვის გველა დონეზე, იქნება ეს სახელმწიფო რეგულირება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური ხილოცის მიხედვით, თუ დარგის, რეგიონის ან მართვის შეაღედური და მირეული რგოლები.

რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია "მოთხოვნა-მიწოდების" ბალანსის შედგენა ფასების ფიქსირებული დონეების მიხედვით. ფასები კი საქმაოდ ცვალებადია. ამის გამო იცვლება მომწმარებელთა გადახდის უნარიანობას დონე და აქედან გამომდინარე, მოთხოვნა საქონელზე (მომსახურებაზე), თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ამიტომ "მოთხოვნა-მიწოდების" ბალანსი საქმაოდ ტვალი, სამგანზომილებიანი გახდა. იგი შეიძლება გამოიხატოს გრაფიკულადაც განსხვავებული წონასწორობის წერტილებში მრუდების გადაკვეთის სახით.*

წემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორული დაგეგმვის საფუძველზე შემუშავებული ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ჩარჩოებით უნდა განიხილოვთ მატერიალური ბალანსების სისტემა, შედგეს საბალანსით ცხრილები, შრომითი და ფინანსური ბალანსები. ამ მონაცემებისა და დარგებიდან და რეგიონებიდან მიღებული ინფორმაციების ურთიერთშედარების, აგრეთვი მატერიალური და ფულადი რესურსების ნაკადების მომრაობის შეპირისისირებისა და პროდუქტორისი ბალანსების საფუძველზე განიხილოვნება ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო პროგნოზი, შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა, "ეკონომიკური თამაშის" წესები და ა.შ. ასეთი მასალების მიწოდებით დაინტერესებულ სუბიექ-

* Н. Симоненко. Балансовый метод в рамках индикативного планирования. "Экономист". 1993, N10, стр. 24-31.

ტებს უადვილდებათ თავიანთ პროდუქციაზე მოთხოვნასა და მაწოდების პრონოზირება, მოქმედების სტატეგიისა და ტექნიკური შემაცვება, რაც ამაღლებს მათი გადაწყვეტილების დახასუფალებლობის დონეს, ზრდის პასუხისმგებლობას მოქმედების მოსაზღვრული მდგრადი დონი შედეგებისათვის და სხვ.

ამრიგად, დაგეგმვის საბალანსი მეთოდი ეფუძნებანია არა მხრილი ცნობრალიზებული დირექტიული სახელმწიფო დაგეგმვის პირობებში, არამედ იგი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ და ამ ურთიერთობათა დამკაიდრების პირობებშიც დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის მართვისა და დაგეგმვის დარგში საქართველოს არავითარი გამოცდილება არა აქვს, ხოლო განვითარებული ქავენების გამოცდილების პირდაპირ გადმოღება სახურველ შედეგებს არ მოგვიტანს. საქართველოსათვის ახელი მიუღებელია შევლა ის გზაც, რომლის გავლახაც განვითარებულშა ქავენებმა საუკუნეები მოანდომეს. კიდევ მეტი, გაუმართლებელია "ექსპერიმენტებისა და შეცდომების" ცნობილი მეთოდის საფუძვლზე "ეკონომიკური თამაშის" წესების შემუშავება, როგორც ეს განვითარებულ ქავენებში ხდებოდა, კიდრე თანამედროვე მდგრმარეობას მიაღწივდნენ. იგი არ გამოღვება არც დროის ფაქტორისა და არც საერთოდ ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაჩქარევი, ბოლომდე გაუაზრებელი ეკონომიკური რისკი და ყოველმხრივ დაუსახუთებელი გადაწყვეტილება უფრო დიდი დანაკარგების ტოლფასია, კიდრე ეს განვითარების აღრეულ ეტაპზე იქნებოდა. ამის თავიდან აცილებაში საგრძნობ როლს შეასრულებს საბალანსი გაანგარიშებები, მასალების ღრმა ანალიზი.

ყოფილ საბჭოთა გაეშირში თავის დროზე გამოყენებული საბალანსი გაანგარიშების მეთოდოლოგია და მეთოდიკა, ფორმები, მაჩვენებლები და ა.შ. მეურნეობრიობის ახალ პირობებში უმეტესად გამოუსადეგგარია. ამიტომ აუცილებელია დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და მეთოდების, ბალანსების ხისტემის აზლებურად შემუშავება, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი ეკონომიკური მაჩ-

პენებლების დაწერება საქართველოს საკუმო-სააღმოცხვო პრაქტიკაში, საბალანსო გაანგარიშებათა მეთოდის ყველა დამატებითი მხარის სრულად გამოფენებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთი

2. მრეწველობის განვითარების გეგმის ხახვები, განყოფილებები და მაჩვენებელთა სისტემა

მრეწველობის მართვის ღონისუთა მიხედვით შედგენილი მკონიგერი და სოციალური განვითარების გეგმით განისაზღვრება წარმოების მიზანი, მისი განხორციელების ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი ღონისძიებები. წარმოების განვითარების მიზანი როგორც უპვე ითქვა, განსხვავებულია, მართვის ღონისების მიხედვით, თუმცა ეკონომიკური საფუძველი ერთია - მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობათა სრულად გამოფენება ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი ნიღმების მქაცრად დაცით. მოგებაზეა დამოკიდებული საკუთრივი ფირმის (საწარმოს) განვითარების შესაძლებლობა და მისი წელიღიც დარგისა და ქვეყნის ამოცანების განხორციელებაში.

მრეწველობის მართვის ყველა ღონებული ფირმით და დამთავრებული მართვის უმაღლესი დარგობრივი ორგანოთი (დეპარტამენტი, სამინისტრო) აუცილებელია განვითარების რეალური მდგრამარეობის ობიექტერი შეფასება, პერსპექტივის პროგნოზი და სტრატეგიული გეგმის შედგენა. მართვის უმაღლესი ღონის სტრატეგიას მართვის ქვედა (ძირული) ღონისათვის მართინებრივებული მნიშვნელობა აქვს, ხოლო მართვის ქვედა რეალების სტრატეგია მართვის ზედა ღონისათვის განვითარების ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრის მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის უნდა გახდეს დარგის, როგორც ეკონომიკური და სოციალური ფაქტორის სათავსოს, განვითარების დაგეგმვის საფუძველი.

ქვეყნის მასშტაბით განისაზღვრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიჯნა, რომელიც მიღწეული იქნება

საგეგმო პერიოდის დასახულისათვის. დაახლოებით ასეთი მიმის ეს საკითხი მსხვილი რეგიონებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. გეგმაში აისახება ის ღიონისძიებები, მოქმედები პროგრამა და რესურსები, რაც აუცილებელია და უშემსილესობა, კომერციულად და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ჰაშტატ ჟრუატ წევად.

ზოგიერთ ქვეყანაში საგეგმო პერიოდი ემთხვევა საპრეზიდენტო არჩევნებს, ანდა სხვა ვადით განიხაზღვრება. მაგალითად, იაპონიაში მიღებულია ხუთწლიანი პერიოდი. ღვება შესაბამისი გეგმები. სხვა ქვეყნებში საგეგმო პერიოდის საკითხი სხვაგვარად წყდება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადირების, დასახული მიზნის ხასიათს და ქვეყანაში მოქმედ შესაბამის განონმდებლობას.

მრეწველობის, როგორც დარგის განვითარების გეგმა მხოლოდ ინდიკატორულია. ფირმის (საწარმოს) ღონიშე კი გვმა არის მარკეტინგულ სტრატეგიაზე აგებულ იერარქიულ დავალებათა სისტემა, რომლის საფუძველზე ღვება ბიზნეს-გეგმა და ფირმის ბიუჯეტი.

სამრეწველო ფირმები (საწარმოები) და ორგანიზაციები საგეგმო პერიოდის ხანგრძლივობის საკითხს თავიანთი შეხედულებისამებრ წყვეტის. ეს დამოკიდებულია დასახული მიზნის თავისებურებებზე და მისი მიღწევისათვის საჭირო ღრიაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განასხვავებენ გრძელვა-დიან-პერსპექტიულ (10 და მეტი წელი), საშუალოვალიან (3-5 წელი), მიმდინარე და კალენდარულ-ოპერატორულ გეგმებს.

გრძელვალიანი (პერსპექტიული) გეგმით განისაზღვრება ეპონომიკის განვითარების შედარებით შორეული მიზნები, მათი განხილუებების გზები და საშუალებები. გრძელვალიანი გეგმის დავალებები ზესტებება საშუალოვალიან გეგმებში. მიმდინარე გეგმები ღვება ერთ წლამდე ვადით. მასში დაკანკრიტიფიცირდა პერსპექტიული გეგმის ამოცანები და დავალებები. იგი მართვის შესაბამისი რგოლის მოქმედების გამლილი პროგრამის საბოლოო ვარიანტია.

კალენდარულ - ოპერატორულ გეგმას საწარმო (ორგანიზაცია) აღვენს დროის მოკლე შეუძლებების (კვარტალი, თვე, დეკადა, დღე-დამე) მიზედვით და მისი დავალებები უშეალო შემსრულებ-

ლებამდე დაიყვანება. ხაგებო დავალებებიც უფრო დეტალურებული და კონკრეტულია, რაც საშუალებას იძლევა გამლივობის მქე-რატიოები ხელმძღვანელობა საგეგმო დავალებათა დარღვეულ შესრულების უზრუნველსაყოფად.

მრეწველობის კონომიკური და სოციალური პრეცენტაციების გეგმის განყოფილებები რამდენადმე განსხვავდებოდა შარმქის დონეების- დარგებისა და საწარმოების მიხედვით. იგი ერთხაირი არ არის გველა ქვეყანაშიც. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოიყოს შემდეგი განყოფილებები:

- სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა (საწარმოო პროგრამა);

- მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის გეგმა;

- კაპიტალური მშენებლობის, ახალი ძირითადი საწარმოო კაპიტალისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების, მოქმედი შრომის საშუალებების სრულყოფის, საწარმოთა ტექნიკური გადა-იარებისა და რეკონსტრუქციის გეგმა;

- წარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა;

- მრომისა და ხელფასის გეგმა;

- პროდუქციის თვითღირებულების (წარმოების ხარჯების), მოგების, რენტაბელობისა და ფინანსების გეგმა;

- მრომითი კოლექტივის სიციალური განვითარების გეგმა.

სამრეწველო წარმოების განვითარების გეგმის ზემოთ ჩა-მოთვლილი განყოფილებები დაკავშირებულია ერთმანეთთან, მაგრამ მათ შორის წამყვანი მაინც პროდუქციის წარმოებისა და რეა-ლიზაციის ანუ გაყიდვათა მოცულობის გეგმაა. პროდუქციის წარმოების დაგეგმილი თდენობის შესაბამისად განისაზღვრება ახალი ტიქნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების ორ-განიზაციის სრულყოფის ღონისძიებები, ახალი ძირითადი კაპი-ტალისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დავალებები, ამისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მოთხოვნა მატერიალურ და შრომით რესურსებზე, შრომის გეგმის სხვა მაჩვენებლები და ა.შ. თავის მხრივ, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის შესაძლო მასშტაბები, მეცნიერული კვლევის გა-

ფართოება, შრომის ნაყოფიერების გაზრდის შესაძლებლობათა გამოყენება, რეალურად არსებული ფინანსური რესურსები და გეგმის სხვა მაჩვენებლები გავღენას ახლენს პრიტჭუქუშვილს წარმოების მოცულობაზე, გეგმის სხვა განყოფილებების შესტკით დავალებათა განსაზღვრაზე და ა.შ. ერთი კი აუცილებელია: თანაფარდობების დაცვა სამრეწველო წარმოების გეგმის განყოფილებებსა და შესაბამის მაჩვენებლებს შორის.

სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რელიზაციის ჯგმაში გაანგარიშებული უნდა იყოს შემდგენ მაჩვენებლები და დავალებები: პროდუქციის წარმოების მოცულობა (ნატურალურ და ღირებულებით ხიდიღებში), ნომენკლატურა და ახორციელენტი, პროდუქციის ხარისხი, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. კონსტრუქციულად რთული პროდუქციის წარმოების შემთხვევაში განიხინდევრება აგრძელებულ კომპერირებულ მიწოდებათა საკონტრაქტო ვალდებულებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი, მაღალი საექსპლუატაციო მაჩვენებლის მქონე პროდუქციის შესაქმნელად სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოების მოცულობისა და ძირითადი მიმართულებების, ახალი ტექნიკის შექმნის (შეძნის) და დანერგვის, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების, წარმოების პროცესების მექანიზაცია - ავტომატიზაციის, ქიმიზაციის, ელექტროიდიკაციის დონის ამაღლების, წარმოების ხაზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმების (სპეციალიზაცია, კომპერირება, კომბინირება და სხვ.) განვითარების შიდახაფირმო საგეგმო დავალებათა სწორად განსაზღვრას, დივერსიფიკაციის საჭიროება-შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სამრეწველო წარმოების განვითარების გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განყოფილებაა კაპიტალური მშენელობის, ახალი ძირითადი საწარმოო კაპიტალისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა. მასში განსაზღვრულია საგეგმო პერიოდისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებები, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, მოძველებული შრომის საშუალებების შეცვლის, საწარმოს ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების, ახალი ძირი-

თადი კაპიტალისა და საწარმოო სიმძლავრეების ამონტებისა
და სხვა დავალებები.

წარმოების მატერიალური რესურსებით უშიურესებულების
გეგმაში განისაზღვრება მოთხოვნა გეგმით გარეული წილებით
პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ყველა სახეობის მატერია-
ლურ რესურსზე და მათი მიღების წყაროები. გათვლილია ისე-
თი მაჩვენებლებიც, რომელთა გაუმჯობესება გავლენას ახდენს
ამ რესურსებზე მოთხოვნის მოცულობაზე. მაგალითად, პროდუქციის
მასალატევადობა, თბოტევადობა, ენერგოტევადობა, ნედლეულიდან
პროდუქციის გამოსავლიანობის კოეფიციენტი, პროდუქციის ერთე-
ულზე ნედლეულის ხვედრი დანახარჯები, აგრეთვე მატერიალური
რესურსების ჰკონიმის რეგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები
და ა.შ.

შრომისა და ხელფასის გეგმაში გაანგარიშებულია მომუშა-
ვეთა რიცხოვობა კატეგორიების, პროფესიების, სპეციალობებისა და
კვალიფიკაციის მიხედვით, კვალიფიციური მუშახელის მომზადებისა
და კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა
და პროდუქციის შრომატევადობის შემცირების დავალებები, ხელ-
ფასის ფონდი მთელი პერსონალისა და მომუშავეთა კატეგორიების
მიხედვით და სხვა მაჩვენებლები.

გეგმის შემდეგ განვითარებაში განისაზღვრება საწარმოო-
სამუშაო საქმიანობის ისეთი შედეგობრივი კეონიმიტერი მაჩვე-
ნებლები, როგორიცაა: წარმოების დანახარჯები (წარმოების ხარ-
ჯთაღრიცხვა), სასაქონლო პროდუქციის თვითდირებულება, ერთეუ-
ლი პროდუქციის თვითდირებულება (კალტელაცია), დანახარჯები
1 ლარის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე; მოგების თანხა
ფორმირების წყაროების მითითებით; მოგების გამოყენებისა და
წარმოების რენტაბელობის დონის გაზრდის დავალებები; ფინანსური
რესურსების ფორმირებისა და მათი გამოყენების ძირითადი მი-
მართელებები; საბრუნავი კაპიტალის გამოყენების გაუმჯობესების
დავალებები და სხვ.

დაბოლოს, ნებისმიერი საწარმო (ფირმა) უნდა ზრუნავდეს
მომუშავეთა ხოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამი-
ტომ წარმოების განვითარების გეგმაში შეაქვთ შესაბამისი

ლონისძიებები და საჭირო დანახარჯები. მოუმავრობა საცდე-
ლურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვის დიდი
გამოცდალება აქვთ იაპონიის მსხვილ მეწარმეებს და მათთვე სხვა
განვითარებულ ქვეყნებსაც. საჭიროა ამ გამოცდების მიზანზე
განხორციელდება და შესაძლებლობის გათვალისწინებით გამოიყენება.

მთლიანად კონსტიტუციის, მათ შორის მრეწველობის კონსტიტუციური და სოციალური განვითარების ინდიკატორულ გეგმას შეიძლება წინასწარ შერჩეული და მეცნიერულად დასახუთებული მაჩვენებელთა სისტემის მიხედვათ. გეგმის მაჩვენებელების შერჩევა და პრობირება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია.

აგამის მაჩუნებლები უნდა ჰასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

პირველი. მაჩვენებლების შერჩევას ხაფუძვლად უნდა დაწლოს მეცნიერული კვლევის შედეგები და გაანგარიშების სრულყოფილი მეთოდითა მაჩვენებლთა მაღალი მეცნიერული დონე უზრუნველყოფს მათ იბრეჭტეროებას;

მეორე, სრულად ასახავდეს საბაზრო ურთიერთობების თავისებურებებს;

შესამე- გეგმის მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს სააღ-
რიცხვო (სტატისტიკურ და საბუღალტრო) და საანგარიშებით
მაჩვენებლებს;

მეოთხე. უნდა იქოს შესადარისი დროის და მეურნეობრიობის სუბიექტების მიხედვით. სხვაგვარად შეუძლებელია სწორად გაანალიზდეს და შეფასდეს ეკონომიკური და სოციალური პროცესები, განისაზღვროს ეკონომიკური განვითარების საერთო კანონზომიურებები. შესადარისობა აუცილებელია იმისთვისაც, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მაჩვენებელთა ურთიერთგაუმისრი და ურთიერთდამრაიდებულება, პროდუქციის ნომენკლატურისა და სხვა პარამეტრებით სრული "შეპირისპირება" წარმოების ფენა სტადიის მიხედვით;

შეხუთე. საგეგმო და სააღრიცხვო-საანგარიშგებო მაჩვენებლები უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას წარმოების განვათარების ჰელა პროცესზე, ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს მათი მოპერატორისა და დამუშავების შექანიშაცია და აკტორიმატიზაცია;

მევქანე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, მათ
შორის საბანკო-საფინანსო და მაკონტროლებელ ორგანიზაციის, სა-
გადასახადო ინსპექციას, აგრეთვე პარტნიორებს შეემორავ ქმე-
დითი კონტროლი გაუწიონ სამურნეო სუბიქტების მეშვეობას.

დაგეგმვის პრაქტიკაში გამოიყენება ნატურალური და გარე-
ბულებითი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი, სინთეზური და
ანალიზური მაჩვენებლები.

ნატურალური მაჩვენებლები მარტივი და უფრო მოსახერ-
ხებელია. მათი საშუალებით შეიძლება განისაზღვროს წარმოების მოცულობა იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოო ერთეული უშ-
ვებს ერთი დასახელების პროდუქციას. თუ იგი ამზადებს ერთი დასახელების, მაგრამ განსხვავებული შრომა-, მასალა-, თბო-
ლა ელექტროტერევალობის პროდუქციას, წარმოების მოცულობა განისაზღვრება პირობით-ნატურალური მაჩვენებლებით, როგორიცაა
ტრაქტორი 15 ცხნის ძალაზე გადაანგარიშებით, პირობითი ქილა კონსერვი, პირობითი ტონა სათხობი და ა.შ. გადაანგარიშება ხდება ხათანადო წესით დამტკიცებული კოუფიციენტების გამოყე-
ნებით. ზოგ ქვეყანაში ამჯობინებენ ცალკეული სახეობის პრო-
დუქციის აღრიცხვას არა პირობით, არამედ ფიზიკურ ერთეულებში.

მიუხედავად დიდი მოხერხებულობისა, ნატურალური მაჩვე-
ნებლების გამოყენების სფერო შეზღუდულია, რადგან საწარმოთა
უმეტესი ნაწილი მრავალი ნომენკლატურის პროდუქციას აწარ-
მოებს. მისი გამოყენება არ შეიძლება მართვის შეალედური
და უმაღლესი დონის (ქვეყანა, რეგიონი, მრეწველობა და მისი
დარგები, მსნვილი საწარმოო ერთეულები - კორპორაცია, კონ-
ცენტრი, საქციო საზოგადოება და ა.შ.) მიხედვით. ამიტომ ნა-
ტურალურ მაჩვენებლებთან ერთად გამოიყენება ღიანებულებითი
მაჩვენებლებიც. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციაზე ფასის
სწორად განსაზღვრასა და პროდუქციის გამოსახვის მოხერხებული
ერთეულის შერჩევას.

ყოფილ საბჭოთა კავშირის მრეწველობაში მეურნეობრიობის სხვადასხვა ეტაპზე წარმოების მოცულობის გასაანგარიშებლად
გამოიყენებოდა: საერთო (მთლიანი), სახაქონლო და რეალიზებული
პროდუქციის, წმინდა პროდუქციის, პირობით წმინდა პროდუქციის,
ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლები. პრაქტიკაში ცხად-

ეო ამ მაჩვენებელთა ავტორიანობა. გამოიყენებოდა წარმოების
მოცულობის გაანგარიშების უცხოეთიხაგან განსხვავებული ქეთო-
დიკაც. ეს აძნელებდა რეალური მდგრამარეობის ხსნის და წელისებას
და სხვა ქვეყნების საწარმოების მუშაობის მაჩვენებლაფრნი წედა-
რებას, წარმოების განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებების
განსაზღვრას და ა.შ. ამიტომ აუცილებელია საერთოდ ეკონომიკური,
მათ შორის, მრეწველობის განვითარების დაგეგმვისა და აღრი-
ცხვის მაჩვენებელთა შემუშავება მხოლიობი აპრობირებული
მეთოდიება და ხტანდარტების მიხედვით.

რაოდენობრივი მაჩვენებლებით (ცალი, ტონა, მეტრი,
კუბური მეტრი, კონტინგენტი და ა.შ.) გამოიხატება ეკონომიკური
მოვლენის (წარმოების) განვითარების რაოდენობრივი მხარე, ხო-
ლო ხარისხობრივი მაჩვენებლებით - მუშაობის ხარისხობრივი
შედეგები. განასხვავებენ ხარისხობრივ-ეკონომიკურ და ხარისხობრივ
ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. პირველს მიეკუთვნება: პრო-
დუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის შრო-
მატევადობა, თვითღირებულება, მოგება, რენტაბელობა და სხვ.
მათი მეშვეობით განიხაზღვრება ხაწარმო-ხამურნეო ხაქმიანობის
ეკონომიკური შედეგები. ხარისხობრივ ტექნიკურ-ეკონომიკური
მაჩვენებლებით გაიზომება ძირითადი ხაწარმოო კაპიტალისა და
საბრუნავი კაპიტალის (მატერიალური რესურსები), ხაწარმო
სიმძლავრეების და ა.შ. გამოიყენების დონე. ხარისხობრივ ტექნიკურ
- ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: სიმძლავრეთა გამოიყენების
კოეფიციენტი, პროდუქციის მასალატევადობა, თბოტევადობა, ენერ-
გოტევადობა, კაპიტალტევადობა და კაპიტალუკეუჯება, ნედლეულიდან
პროდუქციის გამოხავლისანობა, საბრუნავი კაპიტალის გამოიყენების
მაჩვენებლები და სხვ.

სინთეზურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (პროდუქციის თვით-
ღირებულება, მოგება, რენტაბელობა, შრომის ნაყოფიერება და
სხვ.) გვიხასიათებს ხაწარმო-ხამურნეო ხაქმიანობის საბოლოო
ეკონომიკურ შედეგებს, ეკონომიკის განვითარების საერთო კანონ-
ზომიერებებს. ანალიზური მაჩვენებლები კი - ხაწარმო-ხამურნეო
ხაქმიანობის ცალკეული პროცესების მიმდინარეობას.

3. ინდიკატორული დაგეგმვა და მისი ორგანიზაცია საქართველოში



ინდიკატორული დაგეგმვა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის ერთ-ერთი სახეა. მას წარმატებით უკნებენ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები.

განვითარებულ ქვეყნებში მაკროეკონომიკურ დონეზე დაგეგმვა 30-იანი წლებიდან დაიწყო. ეს ნაბიჯი დაკავშირებული იყო 1929-1933 წლების კრიზისის შედეგად წარმოქმნილი სიმნილეებიდან გამოსვლის გზების ძიებასთან, რისთვისაც საჭირო გახდა ეკონომიკის მართვის სახელმწიფო ბერკეტების გამოყენება.

მაკროეკონომიკურ დონეზე შედგენილი პირველი გეგმები მოიცავდა საფინანსო-საბიუჯეტო და უცდად-საკრებულო პოლიტიკას, რაც გამოიხატა ეროვნული ბიუჯეტის შედგენაში. მასში გათვალისწინებული იყო როგორც სახელმწიფოს, ისე მთლიანად ქვენის შემოხავლები.

1944 წელს გამოვიდა ჭ. ლაპდაუერას წიგნი - "ეროვნული ეკონომიკის დაგეგმვის თეორია". აკტორის მიერ შემოთავაზებულ დაგეგმვის სისტემას შემდგომში "ინდიკატორული დაგეგმვა" ეწოდა.

50-იან წლებში ეროვნული ეკონომიკის დაგეგმვა ორი მიმართულებებით ხდებოდა: პირველი ითვალისწინებდა გეგმის დასამუშავებლად ხაჭირო აღმინისტრაციული აპარატის გართულებას, მეორე კი - დაგეგმვის სფეროს გაფართოებას. თავდაპირველად ეროვნული ეკონომიკის განვითარების გეგმას აღვენდა ფინანსთა სამინისტრო. 60-იანი წლებიდან ეს უზნქცა დაკისრა სპეციალურ საგეგმო ორგანოებს, კერძოდ: საფრანგეთში - დაგეგმვის გენერალურ კომისარიატს, კანადაში - ეკონომიკურ საბჭოს, იაპონიაში - ეკონომიკურ საკონსელტურით საბჭოს, ნიდჟერლანდებში - ცენტრალურ საგეგმო ბიუროს და ა.შ.

კაპიტალისტური ეკონომიკის დაგეგმვის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შევდი მეცნიერ-ეკონომისტის ლ. იოპანსენის შრომამ "ეკონომიკური დაგეგმვის ნარკევები".

ინდიკატორულმა დაგეგმვამ ჰყულაზე სრული შინაარის მი-იღო საფრანგეთში, სადაც 1947 წლიდან დაიწყეს საშუალოვადიანი

დაგეგმვა 4-5 წლის ხანგრძლივობით. 1974 წელს შექმნილ დაგეგმვის ცენტრალურ საბჭოს დაეკისრა დაგეგმვის დარღმი ქვეყანაში მიმდინარე ჰელა სამუშაოს კონტროლის მიზანის დაგეგმვის ცენტრალურ საბჭოს ნაცვლად შექმნეს ეროვნული და საპარლამენტო კომისიები დაგეგმვის დარღმი.

1984-1988 წლებში დაიწყეს გეგმების შედგენა რეგიონების მიხედვითაც. ეროვნული გონიომიერი განვითარებასთან ერთად დაიწყო გეგმების შედგენა გვროპის გონიომიერი თანამშრომლობის ფარგლებშიც.

გეონომიკის განვითარების პროგრამირებას თავიდანვე პროგრამულ-კონცეპტუალური ხასიათი ჰქონდა. ამასთან თითოეული ქვეყანა თავისებურად წყვატდა დაგეგმვის ხავითხებს, როგორც წმინდა ეროვნული, ისე უშუალოდ დაგეგმვის თვალსაზრისით (დაგეგმვის მექანიზმი, ხავითხების პრიორების ხანგრძლივობა და ა.შ.). ეს გელაზე ნათლად ჩანს იაპონიის, შვედეთის, კანადის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან.

ინდიკატორული დაგეგმვა დამახასიათებელია 60-ანი წლებისათვის. შესაბამისი გონიომიერი სისტემების დამუშავებასა და დანერგვაში პრიორიტეტი აშშ-ს კუთხით. სწორედ აშშ-ში 70-იანი წლიდან განხორციელდა ეკონომიკის მართვის გარდაქმნა ხახელმწიფო და რეგიონული დონეების მიხედვით. 80-იანი წლებიდან, "რეიგანომიკის" პრიორები, გაუაროვედა შტატების უფლებები, გაძლიერდა მათი გონიომიერი დამოკიდებლობა, შემუშავდა განვითარების ვარიანტები და სხვ.*

ინდიკატორული დაგეგმვის სისტემის მეშვეობით დგება ქვეყნის გონიომიერი და სოციალური განვითარების ინდიკატორული გეგმა. იგი არსებითად განსხვავდება ცენტრალიზებულ-ტრადიური, დირექტიული წესით შემუშავებული გეგმებისაგან. მასში

* Р. Ильина. Об индикативном (рекомендательном) планировании в капиталистических странах. "Плановое хозяйство", 1990г., №1.; Индикативное планирование развития экономики. "Экономист", 1993г., №9.

განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი შიმართულებები და მისი განხორციელების საშუალებები. ამ გეგმას აქვთ არა დირექტულური მიზანიშნებელი, სარეკომენდაციო წასათა.

განსახვავებები ინდიკატორული დაგეგმვის ორ ტიპს. პირველ შემთხვევაში იგეგმება ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო პირობები. ორიენტაცია აღებულია კონკრეტულიაზე. ამიტომ იგი (კონკურენცია) იგეგმება მაქსიმუმით. ამასთან განსაზღვრულია ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების წინასწარ დადგენილი ბერკეტების გამოყვნება. ინდიკატორული დაგეგმვის მეორე ტიპის არჩევისას იგეგმება ეკონომიკური ზრდა. იგი ემყარება სახელმწიფო საკუთრებას. მისი განსაზღვრულია ეკონომიკური გარემო, რაც აიძულებს სახელმწიფოს შეიმუშაოს "ეკონომიკური თამაშის" წესები და განახორციელოს ამ წესების დაცვის ღონისძიებებიც. მიუხედავად აღნიშნული განსახვავებებისა, ინდიკატორული დაგეგმვის ორივე ტიპი საბოლოოდ ღიაბერალურ ეკონომიკაში გადაიზრდება.

ინდიკატორული დაგეგმვის ხისტემა იძლევა შესაძლებლობას შემუშავდეს ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების მუქანიშნი. როგორც უცხოეთის გამოცდილება მოწმობს, განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პირობებშიც კი ეკონომიკური პროცესების საზოგადოებრივად სახურველი მიმართულებებით წარმართვისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა ზოგიერთი უმნიშვნელოვანები ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და სტრუქტურული პოლიტიკა, უზრუნველყოს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირება, მოსახლეობის ხოციალური დაცვა და სახელმწიფო რეზირვების ფორმირება, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და პროგნოზირება ისეთი პრობლემების გამოხავლენად, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია მხოლოდ თვითრეგულირებით. ამიტომ აუცილებელია ცენტრალიზებული წესით შეირჩეს ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო ზემოქმედების გველაზე ეფექტუანი ბერკეტები, ფორმები და მეთოდები, განისაზღვროს მატერიალური ნაკადები (სახელმწიფო შეკვეთები, კვოტები, ღიაცენზები), განაწილებები საბიუჯეტო ასიგნებანი, პირველ ყოვლისა

კი ბერკოტური კაპიტალური დაბანდებები და საკადუტო რესურსები. სახელმწიფო ხელისუფლება უნდა მონაწილეობდეს ფასტბის დონის მოწესრიგებაში, ფინანსური რესურსების რეგულირებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოქრიბიანი საგადახახალი, რეგულაციაზე და საბაჟო შექანიშმის, ამორტიზაციის ნორმების შესტაციაში, მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას და ა.შ.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ინდიკატორული დაგებმვა იძლევა საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკური პროცესების განვითარების სახელმწიფო რეგულირების შექანიშმის შესაძლებლობას, რაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

ბოლო წლებში ობიექტური და სუბიექტური მიზეზების შედეგად საქართველო მძიმე ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდა. გაუარესდა ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები, შესუსტდა სახელმწიფო ხელისუფლების მარეგულირებელი როლი. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის განმტკიცებული აუცილებელი საკანონმდებლო ბაზით და შესაბამისი სამეცნიერო შექანიშმით. საბაზრო ურთიერთობებს, რომლებიც წევნში ჯერ კიდევ უორმირების პროცესშია, არ ძალუს თვითონეგულირების წესით გადაწყვიტოს ეკონომიკური პროცესების სასურველი მიმართულებით განვითარების საკითხები. ამიტომ გარდაუვალი გახდა მოწინავე ქავებში უკვე აპრობირებული შექანიშმის - ინდიკატორული დაგებმვის სისტემის გამოყენება. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით განიხაზლურა ეკონომიკის გადასხვა ამ სისტემაზე 1994 წლიდან, ხოლო 1993 წელს უნდა განხორციელებულიყო სამისოდ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები.

საქართველოს პირველი ინდიკატორული გეგმის მიზნად მიჩნეულ იქნა სამომავლო განვითარების პროგნოზირების ხაფუძველზე ქვემით მიმდინარეობს აუცილებელი და სასურველი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების განსაზღვრა, მთავრობის მიმდინარე და გრძელვალიანი ეკონომიკური პრიუტიკის შემუშავება, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების და მათი მიღწევის გზების დასახვა. ყოველივე ეს საჭიროებდა დასახული მიზნების მისაღწევად პირადი საქმიანი აქტივობის მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავებას, კერძო სექტორის აღორმინება - განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რათა მას საკუთარი ინტერესებისა

და ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისათვის აქტიური მონაწილეობა მიეღო დასახული ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების რეალიზაციაში.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიწილურტიცხვი გეგმის მონაცემები და მასში ასახული საფინანსურული საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთი საფუძველია.

ინდიკატორული დაგეგმვის ახალი ეტაპი დაიწყო ეკონომიკის სამინისტროს მიერ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატორული გეგმის შემუშავებით, რომელიც მიღებული წესის შესაბამისად დამტკიცა ქვეყნის პრეზიდენტმა 1996 წლის 3 სექტემბრის N580 ბრძანებულებით*.

გეგმაში გაშექმებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრინციპები და გაანალიზებულია ეკონომიკის რეალური მდგრამარეობა, მიხი გამომწვევი მიზეზები, დასაბუთებულია მიმდინარე ზუთწლეულისათვის განვითარების პერსპექტივები და ეკონომიკის რეგულირების ძირითადი მიმართულებები, შემუშავებულია ეფექტიანი ღონისძიებები და სახელმწიფო მიზნების პროგრამები. გათვალისწინებულია, რომ მათი განხორციელებით დაძლეული იქნება ეკონომიკური კრიზისი და ქვეყანა გადავა გლობალური განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე, ჩამოყალიბდება მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ღრანულად ინტეგრირებული ეკონომიკა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ, საერთაშორისო სტარტულტების შესაბამის ღონება და ქვეყნის სათანადო თავდაცვითუნარიანობას. გეგმას ცხრილებისა და გრაფიკების სახით ერთვის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებები. ახლა მთავარია ზემოთ აღნიშნულის რეალურად შესრულება.

საერთოდ ინდიკატორული გეგმა მოიცავს 3-6 ნაწილს. მაგლითად, 1996-2000 წლების ინდიკატორული გეგმა 4 ნაწილი-საგან შედგება.

* საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატორი გეგმა. თბ., 1996.

პირველ ნაწილში - საქართველოს ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრინციპები - განსაზღვრულია ქვეყნის მოვალეობის მიზანი თანამედროვე ეტაპზე და ხოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია ხუთწლეულისათვის. განხილულია გადამზადებული პროცესების მათა ფართო წრე. იგი ეხება რეფორმისასთან დაქმეშის საკითხებს, ქვეყნის რესურსებს პრტენციალს, სახელმწიფო პოლიტიკას ფინანსურ, ფულად-ხაკრედიტო, სტრუქტურული და ინვენტიციური, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, კოლოგიის, რეგიონული ეკონომიკის განვითარების ხასიათის პრობლემებს და სხვ;

მეორე ნაწილში - საქართველოს ეკონომიკის რეალური მდგრძოლებების ანალიზი - დამაჯერებლადაა გაანალიზებული განვლილ საბაზისო პერიოდში განვითარების ზოგადი ტენდენციები. კრიტიკულად არის შეფასებული ეკონომიკის, მისი ძირითადი დარგებისა და სფეროების განვითარების და მასთან დაკავშირებული ღრმისძიებების განხორციელების შედეგები. ფურადლებაა გამახვილებული ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა პრივატიზაციის პროცესი, ფასების ლიბერალიზაცია, საფინანსო და ფულად-ხაკრედიტო საქმიანობა, მეწარმეობის განვითარება, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, გარემოს დაცვა და რეგიონული ეკონომიკა და სხვ. ამასთან, მოცულეულია ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური კოთარების საერთო შეფასება;

მესამე ნაწილში განხილულია ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერიპეტოგები 1996-2000 წლებში: პირველ ყოვლისა განსაზღვრულია ხუთწლეულის ძირითადი ხოციალურ-ეკონომიკური ამოცანა, რომელიც დასაბუთებულია უმნიშვნელოვანები მაკროეკონომიკური ინდიკატორების - ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მომარჯვებით. ამით ნათლად არის წარმოჩნდილი ის მიზნა, რომელიც მიღწეული იქნება 2000 წლისათვის. შემუშავებულია ეკონომიკის მთავარი დარგებისა და სფეროების განვითარების ძირითადი მიმართულებები და გადასაწყვეტი პრობლემები.

მეოთხე ნაწილში განსაზღვრულია ეკონომიკის რეგულირების ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი ღრმისძიებები. იგი ეხება ქვეყნის ეკონომიკური და ხოციალური განვითარების თითქმის ფენა უმნიშვნელოვანებს პრობლემას, როგორიცაა ეროვ-

1. პროდუქციის ხარისხის ეკონომიკური შინაარსი და მაჩვენებლები

საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია დაღებითად შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნას, მაშასადამე, იგი ხარისხიანია.

ხარისხში იგულისხმება პროდუქციის (მომხახურების) დანიშნულებით განსაზღვრულ გარკვეულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც დგინდება მოხმარებისათვის მისი ვარგისათვის დონე და თანამედროვე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი. პროდუქციის დანიშნულება მრავალნაირია. შესაბამისად, განსხვავდებულია მისი ხარისხთანავი მახასიათებლებიც.

პროლეტარისტთა გამოხადევობითი სარგებლიანობის, ანუ მიხი ხარისხის განმსაზღვრელი მახასიათებლები განსხვავებულია როგორც პროლეტარისტთა ჯგუფების, ისე ცალკეულ ჯგუფში შემავალ ნაკეთობათა სახეობის მიხედვითაც. მაგალითად, ცალკეული საწყობის წიაღისეულის (ქანახშირი, ნაკონი, სხვადასხვა ლითონური მაღნები, არამაღნეული წიაღისეული და სხვ.) გამოხადევობითი სარგებლიანობის ღონის მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კერძოდ, ქანახშირის სახეობები ერთიმეტრისაგან განსხვავდება თბორუნარიანობით, ფუჭი მინარევების შემცველობით; რკინის, სპილენძის და სხვა სახეობის მაღნები - სასარგებლო კომპონენტების (რკინი, სპილენძი და ა.შ.) შემცველობით, მათი აღდგენისუნარიანობით, ფუჭი ქანებისა და ტექსტილოგიური თვალსაზრისით სხვა არასასარგებლო მინარევების შემცველობით და სხვ., მაშასადამე, გამოხადევობის ღონისთ.

კოველგვარ პროდუქციას ხარისხებრივი მახასიათებლების მიხედვით აქვს განსხვავებული რაოდენობრივი გრადაციაც. სხვადასხვა პროდუქცია ერთიმეტრისაგან განსხვავდება გამოყენების ხანგრძლივობით, ტექნიკური მახასიათებლებით, შეფერილობით, ხიმაგრით, მედარიბით, სიმკერივით და ა.შ. მაშასადამე, პროდუქცია

ის ხარისხი უაღრესად როგორც ცნებაა და მის ხსროად გვმუდას როგორც კეთილმიტერი შინაარისის, ისე ტექნიკურ-ტექნიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვემოთ გამოყენების წინააღმდეგის მინიჭებულია ისიც, რომ საზოგადოების განვითარებასთან უძრავი მეცნიერებულ-ტექნიკური პროგრესის დაჩარება, საზოგადოების სუვრთა მეონომიტერი და კულტურული კუთილდღეობის დონის ამაღლება და ა.შ.) იზრდება მოთხოვნა მაღალი ხარისხის (სარგებლიანობის) მქონე პროდუქციაზე, რაც განაპირობებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობას.

პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების დიდი განსხვავებულობის მიუხედავად, შეხაძლებელია ხარისხის დონის გაზომვა და მიხი სრულად შემეცნება. მაგრამ ეს შეუძლებელია ერთი მაჩვენებლით, როგორი მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ის. ამიტომ აუცილებელია პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხი უნდა შეფასდეს ხაწარმო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, საქონელმცილენობითი და სოციალურ-კეთილმიტერი თვალსაზრისით. ხარისხის მაჩვენებლები განსხვავებულია პროდუქციის კეთილმიტერი დანიშნულების (წარმოების საშუალებები და მოხმარების საგნები) მიხედვითაც. მეტიც, ეს მაჩვენებლები განსხვავდება ზემოთ დასახელებულ ორ მთავარ ჯგუფში პროდუქციის ქაჯგუფებისა და სახეობების მიხედვით. კერძოდ, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების, კების პროდუქტებისა და სხვა სახეობის მოხმარების საგნების მიხედვით და ა.შ. ხარისხის მაჩვენებლები სხვადასხვაგარია ერთი და იმავე დანიშნულების პროდუქციის განსხვავებულ პირობებში გამოყენების დროსაც. მაგალითად, კონკრეტული მარკის ავტომობილის, სხვა სახეობის მანქანებისა და მოწყობილობების, ზოგიერთი დასახელების საგნების (ტანსაცემელი, ფეხსაცმელი და ა.შ.) ხარისხის მაჩვენებლები განისაზღვრება იმის მიხედვით თუ მათი გამოყენება როგორი კლიმატური პირობების (ზომიერი, ცივი, ცხელი) მქონე რაიონებშია გათვალისწინებული.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის დონის დასადგნად გამოიყენება ერთეულებადი და კომპლექსური მაჩვენებლები. ერთეულებადი მაჩვენებლები გამოხატავს პროდუქციის (ნაკეთობის) ერთ რომელიმე თვისებას. მაგალითად, ცალკეული სახეობის

მანქანები და მოწყობილობები ერთმანეთისაგან განხილული ხუნდა რესურსების, სიჩქარის, ტეირთამწვრობის, წარმართვის მახლევით. კომპლექსურ მაჩვენებლებში აისახება სამრეწველო, პროფესიული რამდენიმე თვისება.

ბ ი ბ ლ ი მ ა მ ე ც კ ი

სამრეწველო პროდუქციის ფორმირების სტადიების მიმღების განასხვავებენ საპროექტო, საწარმოო და საექსპლოტაციო ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ხარისხის ზოგიერთი მაჩვენებლით შეიძლება დავახასიათოთ ერთი სახეობის ანდა ერთგვაროვანი ან გარეშემოწოდების პროდუქციის განსაზღვრული ჯგუფის ვარგისიანობის დონე.

შრომის საშუალებების, ზოგიერთი სახეობის შრომის საგნებისა და ფართო მოხმარების საქონლის ვარგისიანობის გარეშემოწოდებისათვებლები შეიძლება გამოისახოს ერთი და მავე მაჩვენებლით. მაგალითად, გამოყენების ხანგრძლივობით, სიმსუბუქით, ეპოლოგიურობით, რემონტურიგისიანობით და ა.შ. ამავე დროს თათოველი მათგანისათვის დამახასიათებელია ვარგისიანობის სპეციფიკით თვისებებიც.

შრომის საშუალებების ხარისხის ტექნოლოგიურ-კონიჟიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ხანგამებლეობა, საიმედოობა, ტექნოლოგიურობა, ერგონომიკურობა, ესთეტიკურობა, ხტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის მაჩვენებლები, კონივერტიურობა. ბოლო ხას ყურადღება მიექცა პროდუქციის ხარისხის საპატენტო-სამართლებრივი ხასიათის მაჩვენებლებსაც.

შრომის საშუალებათა ხანგამებლეობა არის პროდუქციის (მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოების და ა.შ.) თვისება, წინასწარ დადგენილი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს მუშაობის უნარი ექსპლუატაციის და უზენჯციონირების განსაზღვრულ პირობებში. პროდუქციის ხანგამებლეობის განსაზღვრის დროს დადი მნიშვნელობა აქვს მანქანა-მოწყობილობებისა და კვანძების ერთნაირი გამძლეობის უზრუნველყოფას. ცხადა, მანქანის ნაწილების იდეალურად ერთგვაროვანი სიმტკიცის უზრუნველყოფა ტექნიკურად შეეძლებელია, თუმცა გარეშემოწოდების მათი ხამსახურის ვადის გამოთანაბრება არ არის გადაუჭრელი პრობლემა. იგი წარმოების მოცულობის გაზრდის და საწარმოო რესურსების კონივერტიული მნიშვნელოვანი რეზერვია. კერძოდ, იზო-

გება კაპიტალური დაბანდება სწრაფულებით სათავომიყენო ნაწილების დამაშვადებელი საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად, მცირდება რემონტის ხარჯები და სარემონტო სამუშაოთა შესახრულებლად წარმოების პროცესის შეჩერების შემტკჯერებულ ტესტება მანქანა-მოწყობილობების დატვირთვა დროში, მცირდება წამოწერის ანარიცხების ოდენობა ერთეულ პროდუქციაზე და უმჯობესება საწარმოთა მუშაობის სხვა კონომიკური მაჩვენებლები.

საიმედოობა არის შრომის საშუალებების თვისება წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს შეუფერხებელი და განუწვევებელი მუშაობის უნარი ექსპლუატაციის დადგენილ პირობებში. შრომის საშუალებების საიმედოობის გადიდება ამცირებს გაუთვალისწინებელ შეჩერებებსა და შეფრინებებს მუშაობის პროცესში, თავიდან გვაცილებს მათი გამოსწორებისათვის საჭირო დანახარჯებს და მოცდენას. ამიტომ იგი საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოიყენების, სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების, საწარმოს მუშაობის სხვა კონომიკური და ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვია.

პროდუქციის ტექნოლოგიურობის დონეს აღგენენ ნაკეთობის აწყობადობისა და პროგრესული მასალების გამოიყენების კოეფიციენტები, პროდუქციის მასალატევადობისა და შრომიატევადობის, რემონტვარებისათვის მიხედვით. სამრეწველო პროდუქციის ტექნოლოგიურობის მაღალი დონე მიიღწევა სწორი კონსტრუქციულ-ტექნილოგიური გადაწყვეტის შედეგად, რაც ამარტივებს მონტაჟის პროცესს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს მატერიალურ დანახარჯებს პროდუქციის წარმოებაზე და ა.შ.

ედიდება მნიშვნელობა აქვთ პროდუქციის ერგონომიკურობის დონის ამაღლებას. ერგონომიკურობის მაჩვენებლების გათვალისწინება განპირობებულია ადამიანების განსხვავებული ანთროპომეტრები, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, აგრეთვე ჰიგიენური თავისებურებებით. აღნიშნულის შეხაბამისად განისაზღვრება როგორც მთლიანად ნაკეთობის, ისე მისი ცალკეული დეტალების, კვანძების, ინსტრუმენტების სიდიდე (ზომა), ფორმა, შეფერილობა და სხვა მახასიათებლები. ნაკეთობის ერგონომიკურ მაჩვენებლებზე დადადა დამოკიდებული მუშაობის პირობები, სამუშაო პოზა, მოძრაობის ზასიათი, სუნთქევითი ფუნქციები, სამუშაო ადგილზე ინსტრუმენტების განლაგება და სხვ. ყოველივე ეს უზრუნველყოფს

შრომის დარაღების ექსპლუატაციის მოხერხებულობას, მომითი ფუნქციების სიმარტივებს, მომუშავის დაძაბულობის დონის საქონლოდ, მისი ფიზიკური და ფიზიოლოგიური დატვირთვის, აგრეთვე საწარმოო ტრავმების შემცირებას. იზრდება შრომის საქმიანობის მიმზიდველობა და იქმნება სხვა ხელსაყრელი პრინციპები შემდგარენაფიქციერი მუშაობისათვის.

ბოლო ხანს გაიზარდა მომთხოვნელობა ნაკეთობის ესთეტიკურობისადმი. ნაკეთობის ინფორმაციული გამოსახულება, ორიგინალურობა, ჰარმონიულობა, კომპოზიციური მთლიანობა, გარემოსა და სტილისადმი შესაბამისობა, დამუშავების სიფაქტზე დაღებითად ზემოქმედებს მუშავის ფიზიკაზე, განაწყობს მას მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ამაღლებს ნაკეთობის როგორც მწარმოებლის, ისე მომხმარებლების ესთეტიკურ გემოვნებას, მათ სწრაფვას წარმოებისა და შრომის მაღალი კულტურისადმი და ა.შ.

ნაკეთობის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის დონის დასახასიათებლად გამოიყენება: а) ნაკეთობის აწყობადობის კოეფიციენტი, რომელიც წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ თუ რამდენად არის გაჯერებული ნაკეთობა სტანდარტული და უნიფიცირებული დეტალებითა და კვანძებით.

ბ) განმეორებადობის კოეფიციენტი. მისი მეშვეობით განისაზღვრება ნაკეთობის დასამზადებლად გამოყენებული დეტალებისა და ნაწილების უნიფიკაციის დონე. სტანდარტული და უნიფიცირებული დეტალებისა და კვანძების ხვედრითი წონის გადაღებით იზრდება პროდუქციის მსხვილსერიული და მასობრივი წარმოების მასშტაბები, ჩქარდება ნაკეთობის და პროდუქტების, კონსტრუირების, წარმოებაში მისი ათვისების პროცესი, რაც ხელს უწყობს წარმოების ეკონომიკური ეფექტურის მაჩვენებლების გაუმჯობესებას. კონსტრუქტორი ახალი მანქანის ან სხვა ნაკეთობის კონსტრუქციის დამუშავების დროს უნდა ცდილობდეს და გაღდებულიც არის გაზარდოს სტანდარტული და უნიფიცირებული დეტალებისა და კვანძების ხვედრითი წონა გამოყენებული დეტალებისა და კვანძების ხერთო რაოდენობაში. წინასწარ არის განსაზღვრული მისი მინიმალურად დასაშვები დონე.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელობა უნდა შეფასდეს ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისითაც. ხარი-

სხი კველა შემთხვევაში უნდა გაუმჯობესდეს ისე, რომ შესაძლოსი ღონისძიებების შემუშავებაზე, წარმოებაში დანერგვასა და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის გამოყენებაზე (ექსპლოატაციაზე) ერთობლივი ხვედრითი დანახარჯები შემცირდეს. შემთხვევაში — ამ შემთხვევაში გამართლებული ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარდება, უკეთესი ხარისხის პროდუქციის წარმოება ან შემ ათვისებულის ხარისხის სრულფოფა. გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წარმოებამ ეკონომიკური და სოციალური ხარჯებლობა უნდა მოუტანოს, როგორც მწარმოებლებს, ისე ამ პროდუქციის მომხმარებლებსაც, გაუმჯობესოს მათი მუშაობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. ამიტომ კველა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია დაგინდეს და სათანადო მაჩვენებლების გამოყენებით დასაბუთდეს ხარისხის გაუმჯობესების ეკონომიკური და სოციალური პარამეტრები.

საპატენტო-სამართლებრივი მაჩვენებლების გამოყენების მიზანია საპატენტო სისტმინდის (სამართლიანობის) უზრუნველყოფა და საპატენტო უფლებების დაცვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში. საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის სწორი ორგანიზაცია მეტად აქტიულურია საქართველოსათვის, რომელიც ახლა იწყებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას და, შესაბამისად, მეწარმეობის განვითარებას. ამიტომ აუცილებელია შემუშავდეს საპატენტო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები მსოფლიო სტანდარტების დონეზე. თუ რამდენად საპასუხისმგებლო ეს, ამას მოწმობს აშშ-ის გამოცდილებაც. აშშ-ში შექმნილია საპატენტო ბიურო, რომლის წელმდებარებებსა და ზოგიერთ სპეციალისტს ნიშნავს აშშ-ის პრეზიდენტი სენატთან შეთანხმებით, იმ წესით, რომელსაც იყენებენ სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირების, კერძოდ, მინისტრების დანიშვნისას.* ეს ზრდის ამ სამსახურის როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და აძლიერებს მის პასუხისმგებლობასაც.

მიუხედავად საქართველოში შემ დაგრძელი გამოცდილები-

* მ. კავჭაშვილი საპატენტო საქმის ორგანიზაცია აშშ-ში. "ეკონომიკა". 1993. N7. გვ. 63-64.

სა, საჭიროა აღნიშნული სამსახურების თრგანიზაციის და მუშაობის მიმართულებებისა და პრინციპების დახვეწა, საქართველოს სინამდევილის შესაბამისი მოდელის შემუშავება, ტექნიკური, ბაზის შექმნა, საპატიონტო ღიაცენზიტის გაყიდვის თუ მუშაობის თლებრივი ნორმების შემუშავება და ა.შ. საქართველოს ამ დარგში საკმაოდ მაღალი მეცნიერებლი პოტენციალი აქვს. თრგანიზაციულ-სამართლებრივი საქმის მოგვარება გაზრდის როგორც გამოგონების მფლობელის, ისე ქვეყნის შემოსავალს.

შრომის საგნების ვარგისიანობის დონის დასაღვენად გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა. მათი სიმრავლე და მრავალგვარობა განპირობებულია შრომის საგნების დიდი ნაირსახეობითა და თათოველი მათგანისათვის წაფენებული განსხვავებული წარისხობრივი მოთხოვნებით. მაგალითად, წიაღისეულისთვის, გარდა ზემოთ აღნიშნული წარისხობრივი მახასიათებლებისა, მთავარია აგრეთვე მისი დამუშავების სიადგილე და კონტრიტურობა, შრომის საშუალებათა ექსპლუატაციის მაჩვენებლების გაუმჯობესება, დამზადებული პროდუქციის მაღალი წარისხის უზრუნველყოფა, სიმსუტეები და გაძლიერობა, ტრანსპორტულებულერობა, წარისხობრივი თვალსაზრისით ერთგვაროვნება, მოპოვებისა და გადამუშავების დაბალი თვითღირებულება, კომპლექსური გადამუშავების შესაძლებლობა და ა.შ. კვების პროდუქციის დასამზადებლად გამოყენებულ შრომის საგნებს უნდა ახასიათებდეს განსაზღვრული ჯმო, არომატი, კვებისუნარიანობა და სხვ. სპეციალურია სხვა სახეობის სამოშნმარებლო საქონლის, სამუერნეო ინვენტარისა და ა.შ. დასამზადებლად გამოსაყენებელი შრომის საგნების წარისხობრივი მაჩვენებლებიც.

მოხმარების საგნების წარისხის მაჩვენებლები განსხვავებულია სახერსათო და არასახერსათო საქონლის (ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საგალანტერეო ნაწარმი, ტრიკოტაჟი, პარფიუმერია, სამუერნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები და ა.შ.) მიხედვით.

სანგრძლივი გამოყენების მოხმარების საგნების წარისხის დასაღვენად გამოიყენება შრომის საშუალებების წარისხის განსაზღვრული მაჩვენებლებიც - ხანგამძლეობა, საიმედოობა, ტექნილოგიურობა და სხვ. ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა სახეობის მოხმარების საგნების წარისხი განი-

საზღვრება აგრეთვე ფერის, ფასონის, მოდის, მდგრადობისა და სხვა მაჩვენებლებით. სასურსათო დანიშნულების მიხმატების საგნების ხარისხის ძირითადი მაჩვენებლებია გემო, არომატი, კუბითუნარიანობა, ქიმიური შედგენილობა, ადამიანის საცხოვრის მისამართის მავნე მინარევების შემცველობა და განვითარების მისამართი.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის, განსაკუთრებით მოხმარების საგნების გაფორმებისა და შეფუთვის ხარისხს. კარგად გაფორმებული და შეფუთული მოხმარების საგნები მომხმარებელს აღერიავს მისი შექვენის სერვისი. ამ თვალსაზრისით გაფორმება (შეფუთვა) რეცლამის როლსაც ასრულებს.

ამა თუ იმ დანიშვნების პროდუქციას ხარისხობრივი მახასიათებლების მიხედვით ყოფენ სორტებად ან სორტის თანაბარ-მნიშვნელოვან მარკებად, თანრიგებად და ა.შ. სორტი (მარკა, ხარისხობრივი თანრიგი და სხვა) როგორც პროდუქციას ხარისხობრივი თვალსაზრისით ცალკე გამოყოფილი კატეგორია, გამოხატავს პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების ისეთ დონეს, რომელიც შეესაბამება ამ პროდუქციაზე მომხმარებლის მიერ წაყვნებულ მოთხოვნებს.

პროდუქციის სორტებად დაყოფა, როგორც წესი, გამოიყენება კუბისა და მსუბუქ მრეწველობაში, შეტაღურგიაში და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგში. მაგალითად, ქსოვილისა და ფეხსაცმლის, კონსერვისა და ჟურპაროლუქტების ხარისხის დონე სორტების მიხედვით განისაზღვრება. გამოყოფენ პირველი, მეორე და მესამე სორტის პროდუქციას. ცუმენტისა და აგურის წარმოებაში სორტის თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება მარკა, საშენებლო კერამიკის წარმოებაში - ხარისხობრივი თანრიგი და ა. შ. მრეწველობის ზოგიერთი დარგის საწარმოთა პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების ამგარი დიჭურუნციაცია საკრითო არ ხდება, იგი მიღებელია. მაგალითად, მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, სახალხო მოხმარების ხანგრძლივი გამოყენების ელექტრო-ტექნიკური ნაკეთობები, ან კილვ, კოქსი და ცეცხლგამძლე აგური და ზოგიერთი სხვა დანიშნულების პროდუქციაც უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ სტანდარტით განსაზღვრულ ხარისხობრივ მახასიათებლებს და მათგან ფოფლგარი გადახრა დაუშევებელია.

დანიშნულების მიხედვით პროდუქციის კარგისიანობის

განმსაზღვრელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით პროცესია იყოფა ხახობებად, სახობები - ქვესახობებად. ქვესახობების გამოყოფის ხაფუძველია გარგვეული ხახობის პროდუქციის რამდენადმე განსხვავდებული ხარისხობრივი მახასიათებლები. პროცესია მატერიალური და საცმელი, ფეხსაცმელი და ა.შ.) ხარისხობრივი ჰანტერეფიქტ ჭრის რიცხავს მოხმარების პროცესში მათთვის ურთიერთშენაცვლების შეხაძლებლობას. ქვესახობების მიხედვით (სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კონსერვი, პურპროლაქტინი და სხვა) პროდუქციის დაყოფის შემთხვევაში ურთიერთშენაცვლება შეხაძლებელია:


სხვა თანაბარ პირობებში, თუ პროდუქცია მაღალი ხარისხისა და იზიდავს მომხმარებლებს თავის განსაკუთრებული ხარისხობრივი უპირატესობით, ეს ნიშნავს, რომ იგი მაღალი ღირსების პროდუქციაა, მაშასადამე ახეთი პროდუქცია მკითრდება ბაზარზე.

ზოგიერთი სახეობის მოხმარების ხაგნების ხარისხის დახადგენად გამოიყენება ქელობრივი სისტემა. ყოველ ცალკეულ ტერმი მაჩვენებელს მინიჭებული აქვს გარგვეული კოეფიციენტი (ქელა), რომელიც განსაზღვრავს მის როლს ნაკეთობის ვარგისანობის საერთო შეფასებაში. ქელათა მაქსიმუმი უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელია. ქელების მიხედვით ზოგიერთი მოხმარების ხაგანი იყოფა სორტებად, რაც პროდუქციის ხარისხის გრადაციის განმსაზღვრელია.

მოხმარების ხაგნების ხარისხის განსაზღვრის დროს დიდია სუბიექტური ფაქტორის როლი. განსხვავებული გემოგნებისა და კელტურული განვითარების აღამიანები რამდენადმე განსხვავებულად აღიქვამენ პროდუქციის ხარისხის ამა თუ იმ მახასიათებელს. ამიტომ განსხვავებულია პროდუქციის შეფასების დონეც, მაგრამ სუბიექტური ფაქტორი გადამწყვეტი არ არის.

პროდუქციის ხარისხის განსაზღვრისას განსაკუთრებული ჟერადლება უნდა მიუქცეს მის ეკოლოგიურ სიწმინდეს - ჰერიტეირად სურთა პროდუქციის წარმოებით თავიდან ავიცილებთ გარემოს გაჰქიმებანებას და ამის გამო მოსალოდნელ მავნე შედეგებს, მათ შორის აღამიანთა ჯანმრთელობის გაუარესებასაც.

2. პროფესიული ხარისხის გაუმჯობესების ეკონომიკური და ხოციალური ეფექტურობა



სამრეწველო (და არა მხოლოდ სამრეწველო) პროდუქტების
ხარისხის გაუმჯობესება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვი-
თარების ერთ-ერთი ცვენტრალური პრობლემაა. ამ ამოცანის გა-
დაწყვეტა როგორც ობიექტური აუცილებლობა ნაკარინახევია ქვეყ-
ნის ეკონომიკური და ხოციალური განვითარების მიზნებით.
შრომის პროდუქტის ხარისხის პარამეტრების გაუმჯობესება
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გძინქაში წარმოების ინტენსიფი-
კაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი
უძინაშვნელოვანები მიმართულებაა. ამიტომ პროდუქტის ხარისხის
გაუმჯობესების პროცესი იხევე უწყვეტი ხასიათისაა, როგორც
თვით წარმოების, მოვლი სახოგადოების ეკონომიკური და ხოცი-
ალური განვითარების პროცესი.

სამრეწველო პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება მეცნიე-
რულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი უმნიშვნელო-
ვანებია ფაქტორიცაა. მაღალი ხარისხის შრომის იარაღებისა
და შრომის საგნების გამოყენების გარეშე შეიძლებელია ელექტრო-
ნიკის, რადიოტექნიკის, ატომური ტექნიკის, კოსმოსური და საა-
კაციო ტექნიკის, მინიატიურული ტექნიკის, მიკრომრავბისა და
მრავალი სახეობის მიკრომოწყობილებების, თანამედროვე ნახევრად
ავტომატური და ავტომატური სისტემების, მიკროსქემების შექმნა
და სხვა სახეობის პროგრესული ნაკორებების წარმოება. უძალებები
ხარისხის შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების გამო-
ყენებით შეიძლება პროდუქტის მიეცვე ისეთი თვისებები, როგო-
რიცაა მაღალი წარმადობა და შრომის საგნების ზუსტად დამუ-
შავების უნარი, შრომის საშუალებებს - ნაკლები გაბარიტი და
წონა, საჭირო სიმტკიცე და გამძლეობა, მაგნიტური ჟღისაგან
დაცვის მაღალი უნარი და ა.შ.

შრომის საგნების ხარისხის გაუმჯობესება, გარდა ზემოთ
აღნიშნულისა, მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოების საფუძ-
ველიცაა. მაღალი და გაუმჯობესებული ხარისხის ნედლეულის,
სათბობისა და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენებით
მცირდება დანაკარგები და, შესაბამისად, მატერიალური დანახარ-
ჯები პროდუქტის ერთულის წარმოებაზე, უმჯობესდება მატერია-

ლური რესურსების, ძირითადი საწარმოო გაპიტალისა და ხაზურ-
მოო სიმძლავრეების გამოყენების ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა
პროდუქციის მასალატევადობა, ნედლეულისგან პროდუქტის უკანასკნელი
სავლიანობა, კაპიტალურება და პროდუქციის უმატებელისადმი, საწარმოო
სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი და სხვა
ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დამატებითი პროდუქცი-
ის წარმოების ტოლფასია. შრომის სამუალებებისა და ზოგიერთი
სახეობის სახალხო მოხმარების საგნების ხანგამძლეობისა და სა-
იმედოობის გადიდებით იზიგება ნედლეული, მასალები, სათბობი,
ენერგია და ცოცხალი შრომა, მცირდება დანახარჯები, რაც საჭი-
რო იქნებოდა შესაბამისი დანიშნულების დამატებითი პროდუქ-
ციის გამოსაშუალებად. საბურავების გარენის მანძილის 50%-ით
გადიდება პოტენციურად ამავე რაოდენობის დამატებითი პროდუქ-
ციის წარმოებას განაპირობებს. ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ ფეხ-
საცმლის, ტანსაცმლის, საყოფაცხოვერებო დანიშნულების ხანგრძლი-
ვი გამოყენების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღროსაც.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცი-
ლებელია გარეგნული რაოდენობის კაპიტალური დაბანდებებიც,
მაგრამ ის მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ დანახარჯებზე, რაც სა-
ჭირო იქნებოდა დამატებითი სიმძლავრეების ასამოქმედებლად რო-
გორც საბოლოო პროდუქციის გამომშვებ საწარმოებში, ისე
მომიჯნავე დარგებსა და წარმოებებში თუნდაც დამატებითი
მატერიალური რესურსების მოპოვებისა და წარმოებისათვის.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით მცირდება შრომის
იარაღებისა და ხანგრძლივი გამოყენების მოხმარების საგნების
რემონტის, მათი ტრანსპორტირების, ენერგიის, საწვავის, ზეთისა
და სხვა მასალების დანახარჯები. სახალხო მურნეობის მასშტა-
ბით ასეთი დანახარჯები საკმაოდ დიდია.

ამრიგად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი
დიდი მნიშვნელობის ხარჯთსაწინააღმდეგო ფაქტორია. ჩვენი სამ-
რეწველო პროდუქცია გამოირჩევა მაღალი მასალა-, თბო- და ენერ-
გოტევადობით. პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ცოცხალი შრო-
მის დიდი დანახარჯების გამო მაღალია პროდუქციის შრო-
მატევადობა და დაბალია შრომის ნაყოფიერების დონე. პროდუქციის

ხარისხის გაუმჯობესების გველა შესაძლებლობის გამოყენებით, მოქადაგვად იმისა, რომ იზრდება ერთობლივი დანახარჯები. წარმოება მნიშვნელოვან კონომიკურ ეფექტს იღებს უნიკალურ უფრო დიდი იქნება საბაზრო კონომიკის პრიჭულშესარყფები საბაზრო ურთიერთობების დროს ძლიერდება კონკურენცია მწარმოებლებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ბაზრებშე. კონკურენციაში იმარჯვებს მხოლოდ ის კერძო თუ სახელმწიფო საწარმო, რომელიც ნაკლები დანახარჯებით აწარმოებს მეტი რაოდენობის მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიან პროდუქციას. ბაზრის კანონები აიძულებს მეწარმეს მიზრუნოს მომხმარებლის მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად. სხვაგვარად იგი ვერ დამკიდრდება ბაზარზე, ეს კი გაკოტრებას მოახწავებს.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებას აქეს უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობაც. მომხმარებლებისა და საერთოდ ხაზოგადოებრიობის წარმოდგენაში იზრდება იმ ქვეყნის პოლიტიკური იმიჯი და რწმენა, საიდანაც მათ მიეწოდებათ მაღალი ხარისხის პროდუქცია, რაც ხელს უწყობს ქვეყნის კონომიკური და კულტურული განვითარების მაღალი დონის აღიარებას.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე სისტემატური ზრუნვა, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ცვლის მუშაკის შეგნებას, მის დამოკიდებულებებს საქმისადმი, აძლიერებს პასუხისმგებლობას აწარმოოს და მომხმარებელს მიაწოდოს მხოლოდ მაღალი ხარისხის, მისი მოთხოვნის შესაბამისი პროდუქცია. ეს ამტელებს მას აიმაღლოს პროფესიული მომზადების ღონე, დაეუფლოს შესაბამის ტექნიკას და ტექნოლოგიას, მუშაობის მაღალ კულტურას და ა.შ. ამისათვის კი საჭიროა ზოგადი განათლების ღონის ამაღლებაც.

მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოყენება გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის პროფესიონალიზმზეც, მისი შრომითი ჩვევების სრულყოფასა და კულტურის ღონეზე. მის შრომას უფრო მიმზიდველსა და ნაყოფიერს ხდის და სხვ.

ამრიგად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, გარდა იმისა, რომ აუმჯობესებს ასეთი პროდუქციის როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლების კონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, მათში იწვევს მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებსაც,

რახაც პერსპექტივაში დიდი შეღები მოჰყება. როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, ხარისხის გაუმჯობესების, უფრო მაღალი ხარისხის მახასიათებლების მქონე მრჩეულებების გამოშევების პოლიტიკური და ხოციალური შესტატიკულური დიდია. იგი მრავალმხრივ კლინდება, თუმცა მისი უფლებებისა და ახსოლებურ კონომიკურ მაჩვნებლების ზუსტად გამოხახვა შეუძლებელია, განსაკუთრებით ასეთი პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების საწყის ეტაპზე. მაშასადამე, პოლიტიკური და ხოციალური ეფექტი, როგორც წესი, მერმისს გამოვლინდება.

საქართველო მომავალში უფრო მეტად უნდა ჩაებას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, უნდა გააფართოოს საგარეო კონომიკური ურთიერთობები, გახდეს მხოლოდ ბაზრის აქტიური მონაწილე, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი, მხოვლიოს საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის პროდუქციის წარმოების შემთხვევაში. ამით ამაღლდება ქვეყნის საერთაშორისო კონომიკური და პოლიტიკური ავტორიტეტი, გაიზრდება სხვა ქვეყნების მთავრობებისა და ცალკეული ბიზნესმენების, ხაქმანი წრების წარმომადგენლების დაინტერესება საქართველოსთან კონომიკური, პოლიტიკური და, ცხადია, სხვა სახის ურთიერთობების დამყარებით.

3. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი ფაქტორები

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზების სწორად განსაზღვრა და შესაბამისი ფაქტორების ხრულად ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ხარისხის პრობლემის ყოვლმხრივი გააზრების საფუძველზე.

პირველ ყოვლისა უნდა გაირჩეს, რა იგულისხმება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ცნებაში. საქმე ის არის, რომ ხაბჭოთა პერიოდში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას მიაკუთვნებონ წუნდებული პროდუქციის მოცულობისა და ხელითი წონის შემცირებას მთლიან პროდუქციაში ანდა მის ლიკვიდაციას, რეკლამაციების რაოდენობის შემცირებას, ხარისხის

დაბალი დონიდან შემდგომ საფეხურაშვე აყვანას, მკონე და მესამე სორტის პროდუქციის გადაფანას პირველ სორტით და ა.შ. ოუ უფრო ღრმად ჩავწერებათ მოვლენის არსეს, აგრძარა, რომ სინამდვილეში მოსახმარად ვარგისი პროდუქტები უფლებელი როდია ჩარისხანია. მით უფრო იგი არ არის კულტურული ტრენუ სხის. ამიტომ წუნის შემცირება არ ნიშნავს, რომ გამოშვებული პროდუქცია ჩარისხანია მომხმარებლის პოზიციის გათვალისწინებით, რომ იგი შეესაბამება პროდუქციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნებს. განა ცოტაა შემთხვევა, როდესაც წუნის პროცენტი მცირდება, მათ შორის მნიშვნელოვნად, დანარჩენი პროდუქცია გამოსაყენებლად ვარგისად ითვლება, მაგრამ ფაქტობრივად იგი დაბალი ხარისხისაა ან კიდევ, არ არის გამორიცხული მთლიან პროდუქციაში წუნდებული პროდუქციის მოცულობისა და ხელითი წონის დროებითი გადილებისას, პროდუქციის მირითადი ნაწილის ხარისხი არ ისებითად გაუმჯობესებული იყო. მაშასადამე, დაუშვებელია პირდაპირი კავშირის დამფარება წუნდებული პროდუქციის (რეკლამაციის) შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებას შორის.

აუცილებელია დადგინდეს პროდუქციის ხარისხის საზოგადოებრივად ნორმალური დონე, მისი განმსაზღვრელი პარამეტრები. ეს პარამეტრები დამოკიდებულია შეცნიერულ-ტექნიკური პროცენტის დონესა და მასში მოხალოდნელ ცელილებებშე, აგრეთვე საზოგადოების კუთხომის კუთხომის განვითარებაზე. სოციალურ და კულტურულ განვითარებაზე. იმის გამო, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროცენტი განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მისი გაცლენით ასევე განუხრედად განვითარებადია საზოგადოებრივი წარმოება, ცხოვრების კუთხომიკური და სოციალური პირობები, კულტურა და ა.შ. პროდუქციის ხარისხის ნორმალური დონეც ცვალებადია. ამიტომ პროდუქციის ხარისხის ამაღლება (გაუმჯობესება) უნდა გაიაზრებოდეს, როგორც დადგენილი ხარისხის ნორმალური დონიდან ხარისხის პარამეტრების გაზრდა. ხარისხის ნორმალურ დონეში კი უნდა იგულისხმებოდეს ხარისხობრივი პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქციაზე ხარისხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით ხაზოგადოებრივი მოთხოვნის სრულად დაქმაყოფილებას. პროდუქციის ხარისხის რეალურად გაუმჯობესება ნიშნავს ხარისხის რეალურ, საზოგადოებრივად აუცილებელ დონესთან მიახლოებას.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის განაკვეთად აუცილებელია სრულად ჩაეწერ პრაქტიკაში გამოყენებული ცნების - "პროდუქციის განახლების" და "ახალი პროდუქციის" შინაარსს და მათ გავშირს ხარისხის პრობლემის შესახვაზე.

ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად აყნობს მათთვის მარტივ დადგენის შესახებ.

"პროდუქციის განახლება" ხდება მაშინ, როდესაც ტრადიციულად ქცეულ ნაკეთობაში შეაქვთ პრინციპულად ახალი ტექნიკური კომპონენტები და ამგარად სრულყოფენ მას, არსებითად იცვლება დამზადების ტექნოლოგია. სრულყოფილი ნაკეთობა კი უპირ დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნას. ამ ხაფუძველზე წარმოვქიდან და მომხმარებიდან იღებნება მიხი მოძველებული ანალიზი. "პროდუქციის განახლებისა" და "პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების" პარამეტრები განსხვავდებულია. თუ ხარისხის გაუმჯობესების შედეგად დამზადების ტექნოლოგია პრინციპულად არ იცვლება, ხოლო ხარისხისმომარევი პარამეტრები უმჯობესდება მხოლოდ არსებული კონსტრუქციისა თუ მოდელის ფარგლებში ანდა ძირითადი სამომხმარებლო თვითხები უცვლელი რჩება და იცვლება მხოლოდ ნაკეთობის გარეგანი სახე და გაფორმება მოდის, ესთეტიკის, გამოყენების მოხერხებულობისა თუ სხვა მიზნით, ახეთ შემთხვევაში აღვილი აქვს მხოლოდ არსებული ხარისხისმომარევი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და არა ახალი სახმარი ღირებულების ფორმირებას, "პროდუქციის განახლებას".

იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებაში გამოიყენება პროდუქციის პრინციპულად ახალი, მანამდე არარსებული დონე, იგი შეფასდება როგორც გამოგონება და მასზე ფორმდება საავტორო უფლება და პატენტი. ნაკეთობას ატარებენ რეგისტრაციაში, როგორც სამრეწველო ნიმუშს სერიული და მასმობრივი წარმოებისათვის. იგი ფაქტირდება ახალი სტანდარტით ან ტექნიკური პირობებით. ახეთი ნაკეთობა უპირ არის "ახალი პროდუქცია". მას აქვს ახალი, უფრო მაღალი სახმარი ღირებულება და შესწევების უნარი, წარმოშვას ახალი მოთხოვნები. შეიძლება ახეთ "ხიახლებს" გამოჩენის მომენტისათვის არც პქრნდეს ისეთი მაღალი ხარისხისმომარევი პარამეტრები, როგორიც აქვს წარმოებაში

უკვი ათვისებულ ნაკეთობას, მაგრამ იგი თანდამან დაიხვდის
წარმოებისა და მოხმარების პროცესში მიღებული დამატებითი
მახალების ხაფუძვლზე გამოვლენილი ნაკლოვანებების დამოქანოე-
ბის შედეგად.

ამრიგად, "ახალი პროდუქცია" წარმოადგენს გამოვლენების ას-
აღმოჩენის ანდა უკვი ათვისებული პროდუქციის განახლების პრო-
ცესის შედეგს, როდესაც ნაწარმში არსებითი ხასიათის ცვლი-
ლების შეტანით მისი ხარისხის გამოყენები პარამეტრები იმდენად იზ-
რდება, რომ ფორმირდება პრინციპულად ახალი სამომხმარებლო
ლირუებულება. ამის გამო ახალი არსებითად განსხვავდება ტელი-
საგან. ამის საუკეთესო მაგალითია ნახევარგამტარებზე მომუშავე
ტელევიზორი ნათურებიან ტელევიზორთან შედარებით, ტრანსიტური
რადიომიმღები ჩვეულებრივ (ნათურებიან) რადიომიმღებთან შედა-
რებით და ა.შ. როდესაც იზრდება მხოლოდ ტელევიზორის
გრანის, ან მაცივრის ტევადობა, ან იცვლება ნაკეთობის მხო-
ლოდ გარეგანი გაფორმება და სხვა, ასეთი განახლება არ იწ-
ვებს "ახალი პროდუქციის" წარმოქმნას.*

პროდუქციის "ხახლის დონის" დიფერენციაციის დროს გა-
თვალისწინებული უნდა იქნეს ნაკეთობის დამამზადებელი საწარ-
მოს დანახარჯების ცვალებადობა და გაწეული რისკის დონი, რო-
განიზაციულ-ტექნიკური ღრინისძიებების განხორციელების გადები,
განახლებულ პროდუქციაზე მომხმარებელთა მოთხოვნის დინამიკა
და სხვ. გარკვეული დროა საჭირო ხიახლების შემუშავებასა და
წარმოებაში ათვისების, შესაბამისი ფინანსური რესურსებისა და
ფასების ფორმირებისათვის და ა. შ.

ჩვენს პრაქტიკაში გამოიყენებოდა და მომავალშიც შეიძლება
გამოვიყენოთ პროდუქციის განახლების დონის შეფასების ისეთი
მაჩვენებლები, როგორიცაა: ახალდამუშავებული პროდუქციის ნიმუ-
შების რაოდენობა წელიწადში; პროდუქციის ნომენკლატურის განახ-
ლების ტემპი; დრო ნაკეთობის დაპროექტებიდან მის სერი-

* Г.Д. Кравченко. Процесс повышения качества продуктов труда как закономерность НТП и формы его проявления. Вестник Московского Университета. Сер.б. Экономика. 1992. №2, стр. 11-19



ულ წარმოებამდე; ახალი პროდუქციის ხვედრითი წრინა მოწვან
პროდუქციაში.

საქართველოს კონომიკური განეთარების წესით უზრუნველყოფ
გამოცდილებები ცხადყოფს, რომ მეურნეობრივის ურისმატურუ
იმ დროს გამოყენებული სამურნეო მექანიზმი არ იძლეოდა
რეალურ საშუალებას სამრეწველო საწარმოებს ხახურველი რაო-
დენობით გამოვშათ მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების შესაბა-
მისი პროდუქცია. მაღალი ტრიბუნებიდანაც კა გაიხმის, რომ
ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციისათვის წარსულშიც და
მომავალშიც საუკეთესო ბაზარი იყო და არის ყოფილ საბჭოთა
კავშირში შემავალი, ამერიკიდელი დამოუკიდებელი ქვეყნები.
მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. საერთაშორისო ბაზ-
რის მოთხოვნებს ჯერჯერობით სულ რამდენიმე საწეობის პრო-
დექცია თუ აქმაყოფილებს.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები კა-
დავ უფრო გაუარესდა ბოლო პერიოდში. განსაკუთრებით ცედი
მდგრმარეობა შეიქმნა საქართველოს სამრეწველო პროფილის
განმსაზღვრულ დარგებში. ამან კი შეამცირა ქვეყნის საექსპორტო
პრტექციალია.

ახეთი მდგრმარეობა გამოიწვია არა მხოლოდ ბოლო
წლებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა და კონომიკურმა
პროცესებმა, არამედ უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში
შემუშავებულმა და გამოყენებულმა ტექნიკური, ორგანიზაციული
და ეკონომიკური ხასიათის პოლიტიკამაც, დანერგილმა სამურნეო
მექანიზმმა, რაც არ იძლეოდა პროდუქციის ხარისხის ამაღლების
უფასტიანი ფაქტორების ამოქმედებისა და შესაბამისი რეზერვების
სრულად გამოყენების შესაძლებლობას.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე შრავალი ფაქტორი მოქ-
მედებს. ეს გამოწვეულია პროდუქციის დანიშნულების შრავალ-
გვარობითა და ხარისხის მახასიათებლების დიდი განსხვა-
ვებულობით. ფაქტორები, მათი მოქმედების თავისებურებებისა და
შედეგების გათვალისწინებით, პირობითად შეიძლება გაერთიანდეს
სამ მთავარ ჯგუფად: მეცნიერულ-ტექნიკური, კონისმიკური და
ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორებად. თითოეული ჯგუფის
ფაქტორები მოქმედებს არა იზოლირებულად, არამედ ურთიერთ-

ქავშირში, რადგან შინანი ერთია - შრომის პროდუქტის ხარისხით მახასიათებლების გაუმჯობესება, ხარისხის სახით დოკუმენტით დონის ამაღლება, მომხმარებელთა მოფურულების, სწორი ლად დაქმაყოფილება. მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის დამტკიცებული მით უფრო მაღალ შედეგებს განაპირობებს, რაც უფრო უტად იქნება დაკავშირებული ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორების მოქმედებასთან და პირიქით მიუწევად ამისა, ფაქტორთა ჯერუების მოქმედების პრინციპები, პირობები და შედეგები განსხვავებულია.

მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის ფაქტორები: პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, "განახლებული პროდუქციის" და "ახალი პროდუქციის" წარმოება მეცნიერების განვითარების, გამოვლინებებისა და აღმოჩენების შედეგია. ნახევარგამტარების გამოვლინებამ და გამოყენებამ რადიოტექნიკაში, სატელევიზიო მოწყობილობებისა და ბეჭრი სხვა სახეობის სამრეწველო და სახალხო მოხმარებისათვის გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებაში რეკოლეციის ტოლფასი როდი შეასრულა, პროდუქციის ხარისხი მანამდე წარმოუდგენელ დონემდე აიყვანა და ეს ზღვარი არ არის. წარმოუდგენელ დონემდე აიყვანა და ეს ზღვარი არ არის. მეცნიერულ-ტექნიკური რეკოლეციის გროქაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პროცესმაც რევოლუციური ხასიათი მიიღო, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ამ პროცესის ვრცელების განვითარებას. ამდენად, როგორც უკვე ითქვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პროცესი იხვევ უწივეტია, როგორც თვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ცოდნის ფარგლებში, რომელიც კაცობრიობამ დააგრივა განვითარების მოცემულ ეტაპზე. მაგრამ ყოველივე ეს ცვალებადა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება წარმოება უსრუნველ-ტექნიკური და გამოყენებითი მეცნიერებების ველყოფილი ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების უახლესი მიღწევებით. ეს კი აუცილებელია ბენებაში არსებული ხარისხის და განხაგურებული თვისებების მქონე ნედლეულისა და მასალების შესაქმნელად, ადამიანის შრომის ეფექტის გახადიდებლად. ნებისმიერ საზოგადოებაში მეცნიერული და ტექნიკური ცოდნა შრომის პროდუქტში მატერიალიზდება იმდენად, რამდენად ხელსაყრელ პირობებსაც ქმით ამისათვის საზოგადოება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი აჩქარებს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას და, ასევე ქმნის მანამდე უცნობ, უფრო მაღალი სამომხმარებლით ღირებულების პროფესიულურად უფრო მტკ ხელს უწყობს რა ახალი მოთხოვნების შემსრულებელს მტკ ბითად ცვლის სამომხმარებლით სტრუქტურას, საზოგადოების მოთხოვნებსა და მოხმარებაში ახდენს რევოლუციური ხასიათის გარდაქმნებს, აქვთ იგი ახალ, უფრო მაღალ თვისებრივ ღონისძიებებს, ამჟამ იგი ახალ, უფრო მაღალ თვისებრივ ღონისძიებებს.

ამრიგად, პროდუქციის ხარისხის დონის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგიც არის და მისი განვითარების აუცილებელი პირობაც. ამიტომ ამ ირი განსხვავებული, იმავდროულად ურთიერთდაკავშირებული პროცესის განვითარების შეხამება აუცილებელი და დიდი ეფექტიანობის მომცემია.

მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის ფაქტორებს მიუკუთვნება:

ა) პროდუქციის ტექნიკური სრულყოფა, მისი ტექნიკური დონის ამაღლება. ეს პროცესი იწვება პროდუქციის შექმნის იდეის წარმოქმნიდან და მრომის პროდუქტში მატერიალიზდება პროექტისა და კონსტრუქციის დამუშავების, მისი დასაბუთების, საცდელი ნიმუშების დამზადების, გამოცდისა და შემდგომი სრულყოფის ხტადიებში. აქ ელინდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწორი ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა, კინაიდან მასზეა დამოკიდებული პროდუქციის (ნაკეთობის) საპროექტო-ხარისხურებრივი გადაწყვეტის ხარისხი. საქმიანობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ეზრუნველყოფილ იქნეს ციკლის: იდეა-დაპროექტება (კონსტრუირება) - წარმოება - გამოყენების ხანგრძლივობის შემცირება. იდეა იხვეწება, ზუსტდება როგორც დაპროექტების (კონსტრუქციის დამუშავების) და წარმოების, ისე მისი გამოყენების (ექსპლუატაციის) პროცესში დაკაირჯების მასალების ანალიზის ხაუძევლება.

პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლება დაკავშირებულია მის განახლებასთან. ბუნებრივია, დაუშვებელი და შეუძლებელია მთელი პროდუქციის ტოტალური განახლება. განახლების მასშტაბი და დონე სხვადასხვა ჯგუფის საქონლისათვის ერთნაირი არ არის. ზოგიერთი სახეობის საქონლის განახლება ან არ არის საჭირო, ან დასაშვებია შეზღუდული რეენობით. მაშასადამე, აუცილებელია ასორტიმენტისა და ხარისხის სტაბილური დონის

შენარჩუნება. ეს უპირველესად ეხება პლიტის პროდუქტების მოვი-
ერთ სახეობას. ცნობილია ისიც, რომ კელტურულ-საფოფაცხადებები
დანიშნულების პროდუქტის დაახლოებით მესამედი ყოველწლიურად
ძველდება. სამაგიუროდ წარმოების საშუალებების ხრამული
დონე პროდუქტის ხარისხის შეფახების ერთ-ერთი უმნიშვნელოւ
განები კრიტერიუმია. კონკრეტუნცია აიძულებს ხაწარმოებს დააზ-
ქარონ პროდუქტის განახლება. ამას მოწმობს განვითარებული
ქარქვენების გამოცდილებაც. იარინის წამყვანი ავტომშენებელი ქარ-
ხნები ავტომობილების მოდელებს ცვლიან ყოველ 3-4 წელიწადში.
იმავე დროს ყოველ 6 თვეში ხდება ტექნოლოგიური პროცესებისა
და თვით პროდუქტის სრულყოფა. ფირრდის ქარხნები ყოველ-
წლიურად უშეუბენ ახალი მოდელის პროდუქტის, საბჭოთა კავ-
შირში კი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკის განახლებას
6-10 წელიწადზე მეტი სჭირდებოდა. საქართველოში ახალი
პროდუქტის ათვისების საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდი იყო,
მათ შორის მანქანათმშენებელი კომპლექსის საწარმოებიც.
საქართველოს სტატისტიკური კრებულების მონაცემების მიხედვით,
1986-1988 წწ. ახალი პროდუქტის წარმოების ათვისებას 6-10
წელიწადი სჭირდებოდა. 1988 წელს შექმნილი ნიმუ-
შებილან გადაწყვდა მხოლოდ 41 %-ის საწარმოო ათვისება. ხმი-
რად იღლვევოდა "სიახლისა" და "განსაკუთრებული მოდერი"
ინდექსების მქონე პროდუქტის წარმოების სტანდარტების მოთხოვ-
ნები და სხვ. პროდუქტის დაბალი ტექნიკური დონის გამო
დაბალი იყო მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეც;

ბ) წარმოების ტექნიკური დონის მაღლება. თანამედროვე
ურთელესი და უმაღლესი ხარისხის პროდუქტის წარმოება მოძ-
ელებული მანქანა-მოწყობილობებით შეუძლებელია. ამიტომ აუცი-
ლებელია წარმოების ტექნიკური ბაზის განახლება, მისი აღჭირვა
თანამედროვე ავტომატური და ნახევრად ავტომატური მანქანებით,
პროგრამული მართვის ჩარჩხით, მექანიზებული, ავტომატური
და კომპლექსურად ავტომატიზებული უბნების, სამქროების, წარ-
მოებებისა და საწარმოების ორგანიზაცია. ტექნოლოგიური პროცე-
სების მართვა უნდა მოხდეს ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის
გამოყენებით. დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანა-მოწყობილობების
მუშაობის რეფილის სწორად განსახლერასა და მის უთეოდ დაც-
ვას, სხვა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების გამო-

კენებას. ხიზანტე და გაუმართებელი დაფოვნება  / მეტად ხაზიანოა;

გ) ტექნილოგიური პროცესების სრულყოფა, ჩემული ტექნიკური და ტექნილოგიური დანერგვა და დადგენტდღ ტექნიკური რეჟიმების უზრუნველყოფა.

ტექნილოგია პრიორიტეტულად განსახლერავს წარმოებული პროდუქციის ხარისხს. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ირკვევა, მრეწველობის პროდუქციის, განსაკუთრებით, როგორც მანქანა-მოწყობილობების დაბალი ხარისხი თათქმის ხასახევრიდ გამოწვეულია მოძველებული ტექნილოგიების გამოყენებით და დადგენილი ტექნილოგიური რეჟიმების დარღვევით. განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერება-ტექნიკური პროგრესი გვთავაზობს სრულიად ახალ ტექნილოგიურ სისტემებს. მექანიკური ტექნილოგიების ნაცვლად ნედლეულისა და მასალების დამუშავება ხდება ბიოლოგიური, ქიმიური, ელექტროექიმიური, რადიაციული, ლაზერული, პლაზმური და სხვა მეთოდებით. მეტალურგიაში სედ უფრო მეტად გამოიყენება ფენიცილების ტექნილოგია და ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის მეთოდი. ბევრ ქვეყანაში შავი ლითონების ამოსავალი ნედლეულიდან - რკინის მაღალიდან - ფოლადს იღებენ თუჯის წარმოების გვრდის ავლით, უშეალოდ. ფოლადის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აწარმოებენ ელექტროფოლადს. ყოველივე ეს ამცირებს წარმოების ციკლის ხანგრძლივობას და იძლევა მნიშვნელოვან კერძომიკურ უფლებებს. ქვების მრეწველობაში გამოიყენება ქიმიური ტექნილოგიები, მათ შორის კჰების პროდუქტების სწრაფი გაყინვის ტექნილოგია, რაც ბოსტნეულს, ხილს, კენკრას და სხვა პროდუქტებს უნარჩუნებს ბენებრივ გარეგნულ ხახეს, გემოს, არომატს, ფერს და სხვა ხარისხობრივ მახასიათებლებს, არ იცელება მათში კვებითი ნივთიერებების შემცველობა, მაშასადამე, ყუათიანობა, თითქმის უცვლელი რჩება ვიტამინები და სხვ. ქიმიური ტექნილოგიების გამოყენებით ამზადებენ ზესუფთა და ზემტებიც მასალებს, რომელზეც დიდი მოთხოვნაა. შეიძლება ბევრი სხვა მაგალითის მოტანაც. მაგრამ ხაკითხის ნათელსაყოფად, კუიქრობთ, აღნიშნეულიც საკმარისია.

ტექნილოგიების სრულყოფის პროცესში თანამედროვე ეტაპზე

რევოლუციური ხასიათი მიიღო. მეოცე საუკანის უკანასკნელი მესამედიდან დაიწყო ტექნოლოგიური რევოლუცია, რაც მეტნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგი და მისი შემდგრმელი ტექნიკური უფრო მეტ მნიშვნელობას მოაძირა. იგი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას მოაძირა, მაგრამ არის, რომ ტექნოლოგია იქცა ექსპორტის ობიექტადაც. ჰევიზებს შორის განალდა კონკურენცია უახლესი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნისა და ექსპორტისათვის, ისეთი ტექნოლოგიების შემუშავებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ლაპტოპების სიმცირესა და განუწყვეტლობას, შესრულების სისტემებს, ამოსავალი ნედლეულისთვის თანდაყოლილი ხარისხობრივი მახასიათებლების, ხაჭიროების შემთხვევაში ნივთიერებათა სტრუქტურის შეცვლას. პროდუქტიდან არახასურველი, მავნე მინარევების გამოღვევას, რეგორიცა ნიტრატები და მძიმე მეტალები კვების პროდუქტებში და ა.შ.

ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა უნდა ხდებოდეს პროდუქციის ფორმირების ფენი სტადიაზე, დაწყებული პროდუქციის დასამზადებლად ხაჭირო ამოსავალი ნედლეულისა და მასალების, მანქანა-მოწყობილობების წარმოებით და დამთავრებული საბოლოო პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიის დამუშავებით.

დაუშვებელია დაგენილი ტექნოლოგიური რეჟიმიადან უმნიშვნელო გადახრა, მისი დაუსაბუთებელი შეცვლა ან შეპატაცე კი. ამას ადასტურებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც. შეცვლა ახეთი შემთხვევა აუკრესებს პროდუქციის ხარისხს.

საქართველოს ძლიერი მეცნიერებული და ტექნიკური პოტენციალი აქვს უახლესი, კონკურენტუნარიანი ორიგინალური ტექნოლოგიების შესამუშავებლად, განხაკუთრებით ქვეყნის სამრეწველო პროფილის განმსაზღვრელ დარგებსა და წარმოებებში. ამავე დროს აუცილებელია ზოგიერთი პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების შემენაც. ამდენად, საქართველო უნდა გახდეს მოწინავე ტექნოლოგიების როგორც ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი ქვეყანა.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ექონომიკური ხასიათის ფაქტორები:

ა) პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასცელისა და მისი ფუნქციონირების პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების განვითარების, მათ შორის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების წინახწარ

განსაზღვრული ღონისძიებების შეუფერხებელ გრილოციფლურას, რაც აისახება პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების გეგმაში. ასეთ გეგმას სრული ხაზით აღვენენ საწარმოებში, შესრულებული მართვის სხვა ძირეული რეოლები.

პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების გეგმის შედეგის საფუძვლია ამ დარგში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა და შესაბამისი სტრატეგია უახლოესი და შორეული პერსპექტივისათვის. ამის მაგალითია იაპონიის საბაზრო კონცენტრირებული რომელიც გულისხმობს საწარმოებისა და ფირმების სახელმწიფო რეგულირებას კონცენტრირების ყოველძრივი გააქტიურების გზით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქტის ხარისხის ამაღლებას.

პროდუქტის ხარისხის ამაღლების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის მიხედვით განიხაზღვრება ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები. იგი უნდა ემფარგბოდეს არსებული მდგრადი მასალების ღრმა ანალიზს. ხელისუფლების აღმასრულებელი და უნქციონალური ორგანიზაცია, აგრეთვე დარკობრივი სამინისტროები შეიმუშავებენ მთლიანად კონცენტრირებული გაუმჯობესების პროგნოზებსა და ძირითად მაჩვენებლებს ხანგრძლივი პერიოდისათვის, მათ შორის ეროვნული სტანდარტების სრულფოფის, ქვეყნის მასშტაბით პროდუქტის ხარისხის მართვის, ხარისხის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებების განსახორციელებლად ხაჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების წყაროების ფორმირებისა და ზოგიერთი სხვა ეკონომიკური ბერკეტის გამოყენების მექანიზმებს.

საწარმოების (ფირმების) პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების გეგმის შედეგისას გამოიყენება აგრეთვე საკუთარი და სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან (შემქვეთებთან) დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროდუქტის ხარისხის პარამეტრები. დიდი მნიშვნელობა აქვს მარკეტინგული სამსახურების მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს, ხოციალური გამოკვლეულების მასალებს და სხვ.

პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების გეგმაში განიხაზღვრება შემდეგი დაკალებები: საწარმოს (ფირმის) სტანდარტებისა და

ტექნიკური პირობების სრულყოფა, საუკეთესო ეროვნული და
მსოფლიო სტანდარტებისადმი მათი შესაბამისობის ძირისა; ახა-
ლი და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის წარმოების
მოცულობის გაზრდა; ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების
ათვისება და სერიულად (მასობრივად) წარმოების კონკრეტულ
ვალების აღნიშვნით; მოდებულებული ნაკეთობის წარმოებიდან ამო-
ლება ან მისი სრულყოფა; პროდუქციის ატესტაციისა და სერტი-
ფიკაციის ორგანიზაცია; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პროდუქ-
ციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში; პროდუქციის ხარისხის
გაუმჯობესების ეკონომიკური ეფექტიანობა და სხვ. მრეწველობის
დარგისა და საწარმოს მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით
გეგმაში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შეიძლება სხვა დავალებების
შეტანაც.

ბ) საფინანსო-ხაკრედიტო სისტემის ხელვაცია. სახელმწიფო ხელისუფლების ხაკანონშედებლო და აღმასრულებელმა ორგანო ებმა ქვენის საფინანსო-ხაკრედიტო სისტემის ხაკანონშედებლო და განკარგულებითი ხასიათის აქტების შემუშავებისა და დამტკიცების დროს უნდა გაითვალისწინონ ისეთი ღონისძიებებიც, რომლებიც ხელს შეუწოდს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საფინანსო-ხაკრედიტო საფუძვლების განმტკიცებას. საქმე ის არის, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება საჭიროებს მნიშვნელოვან დანახარჯებსა და საქმაოდ ხანგრძლივ დროს, მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება პრინციპულად ახალი პროდუქციის წარმოებას, რაც უმეტესად დაკავშირებულია გამოგონებასთან და აღმოჩენასთან. მისი დაფარვის წაროვანი მეწარმის საკუთარი სახსრები და ნახესები საშუალებები. ცალკეულ შემთხვევაში ამ მიზნით სახსრები შეიძლება გამოყოს მომხმარებელმა (დამკვეთმა) საწარმოებმაც მათთვის საჭირო ხარისხის პროდუქციის შემუშავების, ათვისებისა და წარმოების ხარჯების გარკვეული ნაწილის დასაფინანსებლად.

ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო მნიშვნელობის პრიორიტეტი რეალიზაციაში და ასრულებს პრინციპულად ახალი პროცესის გამოშვების სახელმწიფო შემსუთხმის, მისი შემუშავებისა და ათვისება-წარმოების ხარჯების ნაწილი შეიძლება დაწყებულების სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან მმართველობის სხვა ირგახეთვის რესურსებიდან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის საბაზრო კორომიკაზე გადასვლის პირობებში. როგორც უბრა აღინიშნა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი პროდუქციის წარმოების ათვისების ღონისძიებათა განხორციელება ხაწარმოებს შეუქმნის გარკვეულ დროებით სიძნელეებს, რაც ხელსაყრელი არ არის თვით სახელმწიფოსათვისაც. ამიტომ ასეთი ხაწარმოების სახელმწიფოთ მხარდაჭერა აუცილებელია.

დღიდა ეროვნული და კომერციული ბანკების როლიც სახელშეკრულებით ხატებულზე პრიორიტეტული წესით და შეღავათიან პირობებში კრედიტები უნდა გაიცეს იმ საწარმოებზე, რომელებიც შეიმუშავებენ და ითვისებენ ახალ და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციას, აფართოებენ პროდუქციის ასრუტიმენტს, ახორციელებენ წარმოების ტექნიკური განახლებისა და ხელახალი აღჭრების, პროგრესული ტექნილოგიების შემუშავების, შემგნისა და დანერვების სამუშაოებს და სხვ.

მხარდაჭერას საჭიროებს ხაქსპორტო პროდუქციის შემუშავებელი, ამთვისებული და დამამზადებელი, აგრეთვე ამისათვის აუცილებელი ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებული ნაკეთობების მიმწოდებელი საწარმოები და ორგანიზაციები. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი ხარჯების დასაფარავად მათ კრედიტი შეიძლება მიეცეთ გაღუტითაც, რომელიც დაიფარება პროდუქციის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე. ასეთ საწარმოებს შეიძლება დროებით დაუდგინდეთ მოგების (შემოსავლის) დაბეგრის შეღავათიანი ნორმატივები და პირობები და ა.შ.;

გ) მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის გადაწვეტა, როგორც უბრა ითქვა, გარკვეულ კონომიკურ რისკთან და სიძნელეებთან არის დაკავშირებული. შრომით კოლექტივებში ღონისძიებათა განხორციელების საწყის პტაპზე ხშირად

იქმნება კეონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის სისტემები. ამიტომ აუცილებელია პროდუქციის ფორმირების შესაძლებელი ხტადიების შემსრულებელი შრომითი კოლექტივების მატრიალურად წახალისება ხარისხის გაუმჯობებების სამუშაოებში. მაგრა 5 უფრო წილების გათვალისწინებით.

ბ ი ბ ლ ი მ ი ს ე კ

პროდუქციის ხარისხის დაგეგმილი და მიღწეული დღის, როგორც შრომითი კოლექტივის საწარმოო-სამუშაო საქმიანობის შედეგების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვნებელი, გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის დროს. მთავარია სწორად განისაზღვროს შრომის ხარისხი, მისი გავლენა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე და შრომის ანაზღაურების ოდენობა.

კეონომიკური წახალისების წარმო საწარმოს შემოსავალია (მოგვება). მისი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია არის პროდუქციის ხარისხი. საბაზრო კეონომიკის პირობებში დამოკიდებულება პროდუქციის ხარისხსა და ფასს შორის კიდევ უფრო გაიზრდება, შესაბამისად გადიდება საწარმოების შემოსავალიც. ამიტომ კეონომიკური სტიმულირების ისეთი სისტემა უნდა შემუშავდეს, რომელიც შრომით კოლექტივს დააინტერესებს დაამზადოს მხრივ მაღალი ხარისხის პროდუქცია. პრაქტიკაში ცხადყო წარმოების გადიდების, მათ შორის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საბჭოური სისტემის არასაქმაო ეფექტიანობა, რაზეც დიდი გავლენა მოახდინა მწარმოებლის მონოპოლიურმა მდგრადარიბამ და ფასების ცენტრალიზებული დაწესების სისტემამ. სასურველი შედეგი არ მოგვცა ეგრეთწოდებულმა "ფასწანამატის" შემოღებამაც. მაშასადამე, აუცილებელია უფრო ეფექტიანი ფინანსური და ხაკრედიტო ბერკეტების ამოქმედება, საბაზრო კეონომიკის შესაბამისი კეონომიკური და მორალური სტიმულირების მექანიზმის შემუშავება.

კეონომიკური სტიმულირების შექანიშმის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგებილან (შემოსავლიდან) ხახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების შეღავათიანი ნორმატივები იმ საწარმოებისათვის, რომელიც ამზადებს დიდი ხახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის ახალ პროდუქციას, პრინციპულად აუმჯობესებენ არხებულის ხარისხს, თუ კოველივე კს დაკავშირებულია ახალი საწარმოი სიმძლავრების ამოქმედებასთან. შეღავა-

თიანი ნორმატივების გამოყენების ხანგრძლივობა უნდა განიხიაზ-
ლვოვოდეს ამოქმედებულ საწარმოო ხიმშლავრეთა მოვინების
ნორმატივებით გადის გათვალისწინებით. მოგვიმობებულ კანონები
შენატანების ნორმატივები შეიძლება შეუმცირებულების მიზანზე
გასაგზავნი სერტიფიცირებული პროდუქციის დამამზადებელ საწარ-
მოებსაც. პროდუქციის მწარმოებელმა საწარმომ ბიუჯეტში შენა-
ტანების შეღავათიანი ნორმატივების გამოყენებით მიღებული
დამატებითი შემოსავლების ნაწილი უნდა გადასცეს პროდუქციის
(ნაკვთობის) დამშემავებელ შრომით კოლექტივსაც, რაც გაზრდის
